603/2 N 14.565
8ხე1
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 68
(11 525)

31 აგვისტო – 3 სექტემბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომრიდან ნომრამდე

**სასიხარულო...**

შოთა არველაძის აიაქსური ეპოპეა დასრულდა. იგი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ჰოლანდიის ჩემპიონიც იყო და თასის მფლობელიც. ახლა ათვლის წერტილად



დიკ ადვოკაატის შოტლანდიური „რეინჯერსია“. შოთამ მოლაპარაკებებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ქართველი ბრიტანელებმა დაახლოებით 3 მილიონ დოლარად შეიძინეს.

საბერძნეთში დასრულდა 20 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატი. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მოჭადრაკეები ტრადიციას არსად და არასდროს ღალატობენ, რაც უდავოდ გასახარია. ამჯერად ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისელმა მერაბ გაგუნაშვილმა (მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა), რომელიც ჯერ მხოლოდ მეჩვიდმეტე წელიწადშია გადამდგარი და ბრწყინვალე მომავალი აქვს.

გოგონათა ტურნირი გრძელდება. ლიდერთა შორის არიან ინგა ჭარხალაშვილი – 9 ქულა და ნანა ძაგნიძე – 8.

**საწყენი...**

კიდევ ერთხელ არ გამართლდა იმედი – ვაჟ კალათბურთელთა 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე წრის მეორე მატჩშიც დავმარცხდით, ამჯერადაც სტუმრად, ოღონდ ბელარუსებთან. ეს წაგება უფრო მწარე გამოდგა, ვიდრე პირველი – 65:95 (შინ 5 ქულით მოვიგეთ). რა შეიძლება ითქვას? მიზეზებზე „ლელოს“ წინა ნომერში გავამახვილეთ ყურადღება. ახლა ბულგარეთიდან ბელარუსიაში მათხოვრული მგზავრობა დაემატა ადრე ხსენებულ მიზეზებს. სურვილი და შესაძლებლობა, ბაქი-ბუქი და რეალობა, ყოველთვის როდია თანხვედრაში. სანქციებს რა ვუთხრათ, თორემ ასე სამარცხვინოდ ჩაბმა ევროპის დონის ტურნირში, იქნებ სულაც არ ღირდეს. ქართული სპორტის ტრადიციებისადმი პასუხისმგებლობასაც უნდა ჩავუფიქრდეთ ხანდახან. „წავალთ და იქნებ“... ამის თქმა და ქმედება გაბითურებაა, დიდ სპორტში თავის გამიზნულად გამასხარავებას ნიშნავს. თუ ამის თავმოყვარეობა პიროვნულად არავის გააჩნია, ქვეყნისა და ქართული სპორტის პრესტიჟს რას ვემართლებით, ისედაც საკმაოდ არიან ეროვნული ღირსებების დამაკნინებელ-დამამცირებლები საქართველოში.

ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ მეტს არ შევრცხვებით, 2 წელიწადი ჩვენი გუნდი (თუ თეორიულ შანსსაც ვერ გამოვიყენებთ) გამოეთიშა გათამაშებას. აჭა-ბუჭა შეხვედრები კი შინ თუ გარეთ მოვიგოთ, მოვიფხანოთ გული...

## თარიღი:

1937 წლის პირველ სექტემბერს დაიბადა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ილია დათუნაშვილი.

## ანონსი

დევიდ ბექჰემი, ვინ არის იგი ცხოვრებაში და საფეხბურთო მინდორზე? წერილს „შფოთისთავი“, შემოგთავაზებთ „ლელოს“ შემდეგ ნომერში.



## 25 წლის წინათ

დათო ყიფიანის თავური – პირველი გაგანილი ბურთი ერევნელთაა კარის ბადეში გაეხვია

5-6

## ხვალ

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია

# საქართველო – უნგრეთი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი • 21.00 საათი



თბილისელთა პრესკონფერენციაზე

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები





საქართველოს ეროვნული ნაკრები წვრთნისას



## ქართველთა სანაკრებო სამზადისი

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურისა და მარიამობა დღეს გამართული პირველი ვარჯიშის შემდეგ, ნაკრებმა სრულყოფილი სახე მიიღო. ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია. გუნდი მატჩისთვის ინტენსიურად ემზადება, დღეს, როგორც წესია, კიდევ ერთხელდ ივარჯიშებს „ლოკომოტივზე“, ხვალ კი, მატჩიც გაიმართება. ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების თეორიული შანსის მიუხედავად, უნგრელებთან და ლიტველებთან მატჩების მნიშვნელობა არ მცირდება, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა განწყობაც ოპტიმისტურია. გუნდს დაუბრუნდნენ ადრე შერისხული ფეხბურთელები. ჯამარაულისა და ქინქლაძის ერთად თამაშიც არ არის გამორიცხული. ჩივაძე ძირითადად ლეგიონერების ოსტატობას დაეყრდნობა. მადიარებთან და ბალტიისპირელებთან ტრავმების გამო, ვერ ითამაშებენ თემურ ქეცბაია და არჩილ არველაძე. სასწორზე უპირველესად ნაკრების პრესტიჟი და ღირსება დევს, სწორედ ეს განაპირობებს შეხვედრათა დადებითი შედეგის უცილობელ მოლოდინს. მთავარი მწვრთნელის განმარტებით, სათამაშო ტაქტიკა ფეხბურთელთა შესაძლებლობიდან გამომდინარე შეირჩევა. მოკლედ, ვაკეში, შაბათს, საღამოს ეროვნულის შეტევებს უნდა ველოდოთ. როგორც ჩანს, ჩვენი მწვრთნელები უნგრელთა ძალასაც კარგად იცნობენ და, რაც მთავარია, მათდამი შიშის ფაქტორიც გამორიცხულია. ეროვნული ნაკრები ოთხდღიან ვარჯიშებზე ოფლისღვრის შემდეგ ძალებს მყუდრო სასტუმრო „საირმეში“ აღიდგენს, ასე გაგრძელდება 5 სექტემბრამდე, ლიტველებთან მატჩამდე.

ასე და ამგვარად, ჩივაძის ოფიციალური დებიუტი შემოდგომის პირველ დღეს შედგება. გიორგი ნემსაძე კი, 57-ე შეხვედრაში კვლავ უკაპიტნებს გუნდს. ვფიქრობთ, რომ ნაკრების შემადგენლობა ოპტიმალურია და ბიჭებიც მოსაგებად და სარევანშოდ გავლენ მინდორზე. **მეკარეები:** დავით გვარამაძე (ტორპედო), გრიგოლ ჭანტურია (დინამო ბთ), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი); **მცველები:** ოთარ ხიზანეიშვილი (როსტსელმაში), კახა კალაძე (მილანი), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი); **ნახევა-**

იხ. მე-4 გვ.

## როცა ორივე მხარემ მხოლოდ მოგებისათვის უნდა იბრძოლოს

ბოლო წლებში, იმის გამო, რომ უნგრეთის ნაკრები მარცხს მარცხზე განიცდიდა, სისტემატურად იცვლებოდნენ მთავარი მწვრთნელები. შემდეგ ჩათვალეს, რომ ბერტალან ბიჩკეიმ მაინც შეძლო მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაცია. ამ გამოცდილი სპეციალისტის მიერ მომზადებული გუნდი ჩაება მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში. მისი მიზანი, ცხადია, იყო, თუ პირველის არა, ერთ-ერთი საპრიზო ადგილის დაკავება.

რას მიაღწიეს ოდესღაც მსოფლიოში უძლიერესი „დიდი გუნდის“ მემკვიდრეებმა დღეისათვის?

მათ მიერ ჩატარებული 5 მატჩიდან საუკეთესოდ ითვლება შეხვედრა ბუდაპეშტში იტალიელებთან, სადაც ბიჩკეიმ, ექსპერტების აზრით, შეძლო საუკეთესო შემადგენლობის გამოყვანა. გადავხედოთ მას: გაბორ კირალი (ბერლინის „ჰერტა“), ვილმოშ შებოკი, იანოშ მატიუში (ორივე – კოტბუსის „ენერგი“), დიორდ კორშოში (გრაცის „შტურმი“), ჩაბა ფეხერი (ჰოლანდიური „ბრედა“), გაბორ ჰალმაი (თელ-ავივის „ჰაპოელი“), იშტვან ჰამარი (ნათანიის „მაკაბი“), კრისტიან ლისტეში („შტუტგარტი“), ბელა ილეში (ბუდაპეშტის მტკ), ფერენც ხორვატი (თელ-ავივის „მაკაბი“), ატილა ტოკოლი („დუნაფერი“). მეორე ტაიმში თამაშში ჩაერთვნენ ტამაშ პეტიო (ბუდაპეშტის „ვაშაში“), მიკლოშ ლენდვაი (ბელგიის „ჟერმინალ ბეერსხოტი“) და ტიბორ დომბი (ჰოლანდიური „უტრეხტი“).



ფერენც ხორვატი

იმის მიუხედავად, რომ უნგრელებს მოუხდათ ანგარიშის ორჯერ გათანაბრება (2-2), მათმა თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგივე ითქმის მეორე მატჩზე ვილნიუსში (6-1), თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტისათვის ლიტვის ნაკრები სრულიად დეკლასირებული იყო, რომ თვით უნგრეთის ნაკრებშიც არ იყო ყველაფერი წესრიგში. ეს გამოჩნდა უიმედოდ წაგებულ მატჩში (0-2) ბუქარესტში უშუალო მეტოქეებთან – რუმინელებთან და საკუთარ მინდორზე ლიტველებთან ორი ქულის დაკარგვაში (1-1).

რაც შეეხება 6 ივნისის მატჩს ბუდაპეშტში საქართველოს ნაკრებთან, რომელსაც არ გამოუწვევია ადგილობრივი გულშემატკივრების დიდი ინტერესი („ნეპშტადიონზე“ სულ 10 ათასი მა-

იხ. მე-4 გვ.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 165 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# კეთილი ნების თამაშებმა კვლავ შეგვახსენა თავი – შესაძლებელია უკანასკნელად



ამერიკელი მილიონერის ტედ ტერნერის თაოსნობით დაფუძნებული კეთილი ნების თამაშები ვერ იქცა პოპულარულ ასპარეზობად და ეკონომიკურად წამგებიანი გახდა. სწორედ ამიტომ ავსტრალიაში, ქალაქ ბრისბენში ამჟამად მიმდინარე თამაშები შეიძლება უკანასკნელი გამოდგეს და ისტორიის კუთვნილებად იქცეს. ბრისბენში 70-მდე ქვეყნის 1300 სპორტსმენი მაინც შეიკრიბა. სპორტის ყველა სახეობაში პირდაპირ ფინალური შეხვედრები ტარდება და ასე ვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები. განსხვავება ოლიმპიურ თამაშებთან ისიცაა, რომ აქ სპორტის ზამთრის სახეობა, კერძოდ, ციგურაობაც შეიტანეს პროგრამაში. აგრეთვე, დაამატეს ავსტრალიაში ძალზე პოპულარული საპლაჟო ფრენბურთი, ტრიატლონი და წყალზე უბედური შემთხვევისას ადამიანთა გადარჩენის ხელოვნება.

*სურათზე: თამაშების გახსნის ცერემონიის ფრაგმენტი.*


## შპს ფორმატი

**გთავაზობთ**

საბითუმო ფასებში

- საოფისე ქაღალდი
- საკანცელარიო საქონელი
- საოფისე ავეჯი
- პოლიგრაფიული მასალები

ყველაფერი ხელმისაწვდომ ფასებში. მომსახურების მაღალი დონე. მიღებულია კარტრიჯის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის LaserJet 5P, 5MP, 6P, 6MP.

**მისამართი:** თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45 (მეტრო „დელისი"), სოფშენის შენობა, III სართული. ტელ: 53.61.15, 32.67.00, 32.67.01, 39.84.05, 32.16.76.



## ყურადღება!

შპს „გუმათემ" გენერალური ხელშეკრულება გააფორმა გერმანიის საფინანსო საინვესტიციო კომპანია „FINTECH CONSUCT GRR"-ის ჟურნალ „Dout Chland Leven"-ის წარმომადგენლებთან, ამ ჟურნალში რეკლამის განთავსებაზე.

ვისაც გსურთ გერმანიაში ხსენებულ ჟურნალში თქვენი რეკლამის განთავსება, დაგვიკავშირდით „ლელოს" რედაქციაში. მისამართი: კოსტავას 14, ტელ: 995-614; 899. 55-48-97.



**რედაქცია სამუშაოდ იწვევს გაზეთ „ლელოს" და მისი ყოველკვირეული დამატება „მკურნალობის სიახლეების" გამავრცელებლებს. მოგვაკითხეთ რედაქციაში. ტელ: 99-56-14, 899 55-48-97.**


**ბილიარდი** საკლუბო ტურნირი

# ახალი ფურცელი საქართველოს საბილიარდო სპორტის ისტორიაში

საქართველოს საბილიარდო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ უკვე მოიპოვა ავტორიტეტი როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. საქართველოში ბილიარდის ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა ბოლო წლებში, მაგრამ ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი დავით ალექსიძე) ერთადერთია, რომელიც საქართველოს წარმოადგენს საერთაშორისო ფედერაციაში. აქვე ვიტყვით, რომ ბილიარდ-ის სხვა ორგანიზაციების უფლებებს ჩვენში არავინ ზღუდავს, მაგრამ უკეთესი იქნება თუ ისინი დროულად დაიწყებენ კოორდინირებულ საქმიანობას ეროვნულ ფედერაციასთან. საერთო წესია ასეთი!

ეროვნულმა ფედერაციამ ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაწერა ჩვენი საბილიარდო სპორტის ისტორიაში — ჩაატარა პირველი საკლუბო ტურნირი, რომელსაც ბათუმის საჭადრაკო კლუბ „კაისასთან" შექმნილმა ბილიარდის კლუბმა შესანიშნავად უმასპინძლა.

თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო სამი მონაწილით, მათგან ერთი თამაშობდა კლასიკურ პირამიდას, მეორე — კომბინირებულ პირამიდას, მესამე — ამერიკანკას. შედეგები კი ერთობლივად ჯამდებოდა. ტურნირში პირველობა მოიპოვა თბილისის მუშთაიდის გუნდმა (თეიმურაზ დონაძე, დავით ალექსიძე, მერაბ სამადაშვილი). მეორე ადგილზე გავიდა საჭადრაკო კლუბ „კაისას" მობილიარდეთა გუნდი (დავით ფიფია, ვახტანგ ურუშაძე, კუკა დიასამიძე), მესამე ადგილი წილად ხვდა ახალშექმნილ, მაგრამ უკვე მოღონიერებულ თბილისის კლუბ „იმპერიალს" (ლადო ასათიანი, რეზო ჩხიკვაძე, ამირან კოხრეიძე).

პირველ და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა მოიპოვეს მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის საგზური. ეს ასპარეზობა სულ მალე გაიმართება მოსკოვში — 25-30 სექტემბერს.

აქვე ვიტყვით, რომ ტრადიციულად ბათუმში ტარდება საქართველოს პირადი ჩემპიონატი კომბინირებულ პირამიდაში. წლევანდელ ამ პირველობასაც ბათუმის საჭადრაკო კლუბ „კაისას" ბილიარდის კლუბი უმასპინძლებს.

**თ. თომაშვილი**

*სურათებზე: მარცხნივ — დავით ალექსიძე, მარჯვნივ — თეიმურაზ დონაძე.*





# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## აშვეთია „კოპენჰაგენში" გადადის

23 წლის ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების და ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია სექტემბერში უკვე დანიის ჩემპიონის „კოპენჰაგენის" (ამ გუნდმა გამოთიშა ქუთაისის „ტორპედო" წლეულს ჩემპიონთა ლიგიდან) ითამაშებს. „ახლა ვიზის საკითხი გვარდება და რამდენიმე დღეში გავემგზავრები დანიაში", — თქვა აშვეთიამ.

წყარო: „დეილი ფუტბოლი".

## „ბატე" არის თუ არა სერიოზული მეტოქე „მილანისათვის?"

### „მინსკში სტუმრობით კმაყოფილი დავრჩით" — აცხადებს მილანის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რევაზ ჭოხონელიძე

იტალიელები თვლიან, რომ არის და კლუბის ხელმძღვანელებიდან 4 ფუნქციონერი საგანგებოდ ჩავიდა მინსკში, სადაც ისინი შეხვდნენ „ბატეს" ხელმძღვანელებს და განიხილეს მომავალი მატჩის ყველა დეტალი, შეარჩიეს სასტუმრო, დაათვალიერეს სტადიონი, წუთების გათვალისწინებით გაწერეს მთელი გრაფიკი მინსკის აეროპორტიდან მინსკის აეროპორტამდე.

ჩვენ კმაყოფილი დავრჩით ამ ვიზიტით, გადავწყვიტეთ, რომ გუნდი დაბინავდება სასტუმრო „ვესტფალიაში", მინსკში ჩავფრინდებით ჩარტერული რეისით" — განუცხადა კორესპონდენტებს „მილანის" წარმომადგენელმა რევაზ ჭოხონელიძემ.

## უეფა ყაზახეთის საკითხს განიხილავს

როგორც ცნობილია, ყაზახეთმა უეფას მიმართა თხოვნით ამ ორგანიზაციაში წევრად მიღების თაობაზე. გუშინ გახდა ცნობილი, რომ 6 და 7 სექტემბერს უეფას აღმასკომის სხდომის შემდეგ გაიმართება პრესკონფერენცია, სადაც განიხილავენ ამ საკითხ.

უეფაში გაწევრიანებას ითხოვს აგრეთვე გიბრალტარი.

## ტრანსფერები

● **იტალიის** ჩემპიონატის პირველი დივიზიონის კლუბმა „ფიორენტინამ" შეთანხმება გააფორმა ინგლისის პრემიერ-ლიგის „ვესტ-ჰემთან" ჩეხეთის ნაკრების მცველის ტომას რეპკის გაყიდვაზე.

● **დუდეკმა** მაინც დატოვა „ფეიენოორდი". მისი ახალი კლუბი იქნება „ლივერპული". პოლონეთის ნაკრების მეკარე ჯერსი დუდეკის თაობაზე უკვე შედგა გარიგება კლუბებს შორის და პოლონელი ინგლისში გაემგზავრება.

● **ფრანჩესკო** კოკომ, როგორც იქნა აისრულა წადილი და ესპანეთის „ბარსელონაში" გადავიდა. კლუბებს შორის შეთანხმებით, შემტევი მცველის კოკოს არენდით გადაცემის ღირებულება 17 მილიონ დოლარს აჭარბებს.

● **პოლეგრინო** შეიძლება „სელტიკში" აღმოჩნდეს თუკი შოტლანდიის ამ კლუბსა და ესპანეთის „ვალენსიას" შორის გარიგება მოხდება. საკითხი სწრაფად უნდა გადაწყდეს, რადგან ჩემპიონთა ლიგაში განცხადების წარდგენის ვადა იწურება.

*იხ. მე-3 გვ.*

## ლელო მატიანე 50 წლის წინათ

***გორი.*** პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთობლივი ძალებით აშენდა მშვენიერი სპორტული დარბაზი. ჩატარდა პირველი ასპარეზობა საქართველოს ქალაქების კალათბურთელთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ვაჟთა შორის გადამწყვეტ მატჩში სოხუმელებმა სძლიეს გორელებს, ქალებში ზღვისპირელებმა იმარჯვეს ქალებშიც — ქუთაისის ნაკრებს აჯობეს.

***სიღნაღი.*** აქ მოეწყო რაიონული შეჯიბრება ამანათრბენში — გაიმარჯვა „სპარტაკმა".

***საჩხერე.*** რაიონის სკოლებს შორის კროსში 1000 მეტრზე გოგონებისთვის და 3000 მეტრზე ბიჭებისთვის კარგი შედეგები აჩვენეს ა. ასატუროვამ, ო. ჩიხლაძემ, ნ. მუმლაძემ, ქ. სუთიძემ და სხვებმა.

***თელავი.*** სოფ. რუისპირის საშ. სკოლაში მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ჩამოყალიბდა მოჭადრაკეთა წრე.

***ქუთაისი.*** ქალაქის სკოლების პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა მე-6 საშ. სკოლის გუნდმა.

***თბილისი.*** საქართველოს საუკეთესო მძლეოსანთა ასპარეზობაში, რომელსაც ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონმა უმასპინძლა, თავი გამოიჩინეს ჭოკით მხტომელმა ვ. კუტმანმა — 3.95, 3.000 მ. დაბრკოლებებით რბენაში — ვ. ვაშაკიძემ.

***ზუგდიდი.*** ჭადრაკში რაიონის მეექვსე ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა ვ. ხორავამ, რომელმაც 11,5 ქ. მოაგროვა 13 შესაძლებლიდან.

***ბათუმი.*** ჩატარდა ბათუმისა და ფოთის მოკრივეთა შეხვედრა. ბარამიძემ (ბათუმი) მოუგო ღლონტს, მნაცაკანიანმა (ფოთი) — შელკუნოვს, ვ. იაზოვმა (ბათუმი) — ჯოჯუას (ნოკაუტით), ბათუმელთაგან თავიანთი ორთაბრძოლები მოიგეს აგრეთვე ბათუმელებმა: ც. გოგიბერიძემ, რ. ბიძიანმა, და კ. ბაბახანიდიმ. 6:2 გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

## ვასწორებთ

„ლელოს" წინა ნომერში (№67) წერილში „რაც საინტერესოა, უნდა ვიცოდეთ", რედაქციის მინაწერში მეორე სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს: „შარშაწინ რადგან ოლიმპიადის წინა წელიწადი იყო..." შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



მზია ჯუღელზე წერილების სერიამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ ადამიანებში, ვინც მას ახლოს იცნობს, თვალყური უდევნებია მისი მაღალი ოსტატობისათვის სხვადასხვა შეჯიბრებაში და, რაც მთავარია, მუდამ ამაყობდა მისი ბრწყინვალე წარმატებებით. ბევრი მათგანი, ქალბატონ მზიას მეგობარი გახდა ცხოვრებაში. ჩვენი პუბლიკაციების კვალდაკვალ, ავტორის სახელზე, რედაქციაში მოდის წერილები, რომლებშიც ხოტბას ასხამენ პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ ქართველ ქალს, იგონებენ მასთან შეხვედრებს, უძღვნიან ლექსებსაც კი.

დღეს გთავაზობთ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძის წერილს, რომლის გამოქვეყნება უცვლელად გადავწყვიტეთ.

## მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

ჩემი თაობის, ჩემი მზიანი ახალგაზრდობის, ჩემი სიცოცხლის გაზაფხულის გარიჟრაჟზე ამობრწყინდა საქართველოს მშვენება, ჩვენს წინაპართა გენში მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობით მთვლემარე სინაზე და სისხარტე, სილამაზე, სინატიფე და ნარნარად შრიალა, უზადო პლასტიკის მფლობელი სპორტსმენი მზია ჯუღელი. მზია იყო და არის გასული საუკუნის 50-იანი, 60-იანი და 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, – მბრწყინავი ცისარტყელა.

მისი თანამედროვენი, სპორტის ამ სახეობაში, ბევრს ცდილობდნენ, ბევრს ეცადნენ მსოფლიო მასშტაბით ამხტარიყვნენ ცის ტატნობზე – მზიას ცისარტყელას სიმაღლეს გატოლებოდნენ, მაგრამ, ამაოდ... ნამეტანი უსასრულო სიმაღლის იყო ცის გუმბათი და როგორც იკაროსს, სუსტი ფრთები ეწვოდათ მზის სხივების სიმხურვალისგან... მზია კი ლურჯი ცის იისფერ სფეროში ლივლივებდა და დღესაც ანათებს ულამაზეს ცისარტყელად.

მრავალ თაობათა აღმზრდელი მზია ჯუღელი, დიდებული ოჯახის დედოფალი (ჯერ მარტო მისი მეუღლე – უძლიერესი სპორტსმენი არკადი არხანგელსკი რად ღირდა, ანდა, მზიას მარგალიტივით ქალიშვილი, ორი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი).

მე და მზია ათეული წლებია ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ (ყოფილი კამოს, ამჟამად უზნაძის ქუჩა), ის №4-ში, მე-12-ში. ყოველდღე ვხვდები ჩემს სათაყვანო სპორტსმენს და მუდამ ბედნიერი ვარ ამით. მოდის და მოგელაობს თბილისის ქუჩებში საქართველოს სპორტის მშვენება ვითარცა ნორჩი, ტანკენარი, მზისაებრ გაბრწყინებული, ხალისიანი, მომხიბვლელი, ახალგაზრდული შემართების, ღიმილისა და სიცოცხლის ეშხის მფრქვეველი – მზია ჯუღელი.

მასთან შეხვედრა, მე როგორც მსახიობს სულიერად მამაღლებს, მახალისებს და მის შემხედვარეს მაახალგაზრდავებს კიდეც.

მიყვარხართ ჩემო მზიაკო... ძალიან კარგი ხართ, მერე რაა, რომ წლები მოვიდა, დღევანდელი თქვენი ასაკი სიბრძნის, გამოცდილების და სხვათა წვრთნა-დაოსტატების დიდი აკადემიაა.



*მზია ჯუღელი შვილ ირინასთან და გადასახლებიდან დაბრუნებულ დედასთან ერთად*

ღმერთო, ძლიერო და ღმერთო მაღალო, ნურასოდეს მოშლოდეს ჩვენს ერს და სამშობლოს მზიასთანა ცის გუმბათამდე ამაღლებული სახელოვანი მამულიშვილები.

ნინო ჩხეიძე,
მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი,
საქართველოს სახალხო არტისტი.

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან



*კუერტენი*



*სელეში*

## აშშ-ს ღია ჩემპიონატი

**გრძელდება აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდიცაა 6 382 000 დოლარი. გაგაცნობთ მეორე წრის ტექნიკურ შედეგებს.**

*ქალები*

სელეში (აშშ, 7) — კულიკოვსკაია (რუსეთი) 6:1, 6:4

დოკიჩი (იუგოსლავია, 14) — ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:3

სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 20) — სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:2

მაიოლი (ხორვატია) — რიტნერი (გერმანია) 6:4, 7:5

დანილიდუ (საბერძნეთი) — მაკუილანი (ავსტრალია) 6:1, 7:5

*ვაჟები*

რაფტერი (ავსტრალია, 6) — როხუსი (ბელგია) 7:5, 6:2, 6:1.

ლაპენტი (ეკვადორი, 26) — სანგინეტი (იტალია) 6:4, 7:5, 6:3

კუერტენი (ბრაზილია, 1) — ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:4, 3:6, 7:5

კლემანი (საფრანგეთი, 12) — ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:3, 6:4

ჰაასი (გერმანია, 16) — ლოტუმი (ჰოლანდია) 6:2, 6:2, 7:6

ფაუ (გერმანია) — ენკვისტი (შვედეთი, 19) 6:3, 4:6 6:3, 6:4

ჰრბატი (სლოვაკეთი, 23) — კალატრავა (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:2, 6:3

კანიასი (არგენტინა, 27) — არტურსი (ავსტრალია) 6:1, 6:3, 6:7, 6:2

მირნი (ბელარუსი) — გაუდიო (არგენტინა) 7:6, 6:3, 7:6

ნოვაკი (ჩეხეთი) — ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:2, 6:3, 6:4

სიმერინკი (ჰოლანდია) — ვანეკი (ჩეხეთი) 7:6, 4:6, 6:0, 6:4

### კალათბურთი

## თურქებს ოქროს მთებს ჰპირდებიან

როგორც ცნობილია, დღეს თურქეთში სტარტს იღებს ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. თურქეთის სპორტის მინისტრმა ფიკრეტ უნდუმ განაცხადა, იმ შემთხვევაში თუ თურქეთის ნაკრები მოიგებს ევროპის ჩემპიონატს, მაშინ ყველა მოთამაშე პრემიის სახით დაჯილდოვდება 300 ოქროს მონეტით.

### მძლეოსნობა

## მელინტე მოქალაქეობის შეცვლას ცდილობს

რუმინელი მძლეოსანი მიჰაელა მელინტე, რომელსაც რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია გამოუტანა, ცდილობს მოქალაქეობა შეიცვალოს.

„თუ რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტი არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას, მაშინ მელინტეს აქვს უფლება აირჩიოს სხვა ქვეყანა, რომლის სახელითაც ის გამოვა ათენში ოლიმპიადაზე", — განაცხადა მისმა მწვრთნელმა ტეოდორ აგაჩემ. მელინტე ცნობილი უროს მტყორცნელია, დისკვალიფიცირებული იყო ნანდროლონის გამოყენების გამო.



*მელინტე*

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ტურნირი პოვერეტოში

იტალიის ქალაქ პოვერეტოში გრძელდება მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს. ***ვაჟები: 100 მ:*** უ. ემედოლუ (ნიგერია) — 19,33; ***400 მ:*** ს. პარელა (ბრაზილია) — 45,38; ***800 მ:*** ნ. ვახირა (კენია) — 1.44,49; ***5000 მ:*** უ. კალია (კენია) — 13.19,74; ***400 მ თარჯრბენი:*** ფ. მორი (იტალია) — 48,72; ***200 მ დაბრკოლებებით*** — შ. ლანგი (კენია) — 5.18,51; ***სიმაღლე:*** ი. რიბაკოვი (რუსეთი) — 2.27; ***სამხტომი*** — ჯ. ედვარდსი (დიდი ბრიტ.) — 17.27; ***შუბი:*** ა. ივანოვი (რუსეთი) — 79,94. ***ქალები: 200 მ:*** მ. ლევორატო (იტალია) — 23.21; ***800 მ:*** ა. პაულინო (მოზამბიკი) — 2.00,73; ***400 მ თარჯრბენი:*** ა. ოლიხვერუჩკი (პოლონეთი) — 55,89; ***ჭოკი:*** ე. ისინბაევა (რუსეთი) — 4,20.



*სურათზე: რიბაკოვი*

## გრინი წლეულს ვეღარ იასპარეზებს

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი 100 მ რბენაში ამერიკელი მორის გრინი წლევანდელი სეზონის დარჩენილ შეჯიბრებებს გამოტოვებს. მან განაცხადა, რომ ედმონტონში, ამას წინათ, მსოფლიო ჩემპიონატში მიღებული ტრავმა მარცხენა ფეხზე უფრო სერიოზული გამოდგა ვიდრე მას წარმოედგინა. ამავე მიზეზით მან გამოტოვა კეთილი ნების თამაშები ავსტრალიაში. ამ ამბავმა თამაშების ორგანიზატორებიც შოკში ჩააგდო — ისინი მოელოდნენ, რომ სწორედ გრინის სანახავად მოვიდოდა უამრავი მაყურებელი სტადიონზე. მით უფრო, რომ ეს მორბენალი ადრე თავისივე რეკორდის (9,79) გაუმჯობესებას სწორედ კეთილი ნების თამაშებში გეგმავდა.



## ვაი თქვენს ყოფას, ფანებო!

**ბრიტანული** ფეხბურთის გულშემატკივრების გარკვეულ ნაწილს აუკრძალეს მიუნხენში ჩასვლა და 1 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე დასწრება, რომელშიც გერმანიის ნაკრები ინგლისელებს უმასპინძლებს. როგორც იუწყებიან, „საფეხბურთო უწესრიგობათა" კანონის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, 537-მა ინგლისელმა ფანმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პოლიციაში გამოცხადებისა და პასპორტების ჩაბარების შეტყობინება მიიღო.

ბრიტანეთის უშიშროებამ ხსენებული მატჩი გამოაცხადა „ამაღლებული სირთულის" ფაქტორად და 537 ფანი „შავ სიაში" მოხვდა. ეს ის ხალხია, ვინც ადრე შემჩნეული იყო უწესრიგობის გამოწვევაში. კიდევ 45 გულშემატკივარი დასახელებულია „პოტენციურ საშიშ პიროვნებად". ამასთან, კრიმინალური დაზვერვის ეროვნულმა სამსახურმა გამოყო პოლიციელთა ჯგუფი, რომლებიც სამოქალაქო ტანსაცმელში გერმანელ კოლეგებთან ერთად მიადევნებენ თვალყურს ინგლისელი ფანების მოქმედებას. ასე რომ, „ჭკვიანებსაც" მაინცდამაინც არ ენდობიან.

პირველად ასეთ პრაქტიკას მიმართეს წლეულს ივნისში, როცა 454 გულშემატკივარი არ გაუშვეს საბერძნეთში.

## უეფასა და ფიფაში „სასაცილო" აპელაციების ნაკადი არ წყდება

**ეგვიპტის** ფეხბურთის ფედერაციას კიდევ აქვს იმედი, რომ მათი ეროვნული ნაკრები შეძლებს იასპარეზოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და საამისოდ დაჟინებით „ბომბავს" ფიფას მოთხოვნით გადაითამაშონ ალჟირთან 1-1 დამთავრებული მატჩი, რამაც სენეგალელებს, პირველად თავის ისტორიაში, ფინალური ეტაპის გზა გაუხსნა. მატჩის გადათამაშების მიზეზად სახელდება ის, რომ ზემოხსენებული მატჩის დროს გულშემატკივრები სხვადასხვა საგნებს ისროდნენ ტრიბუნებიდან. ეგვიპტელთა მოთხოვნას სენეგალელებმა „სასაცილო" უწოდეს, მაგრამ გავიდა ცოტა დრო და მოსკოვის „ლოკომოტივის" და „ტიროლის" მატჩის გადათამაშება დაინიშნა. არადა, მოსკოველთა მოთხოვნასაც თავდაპირველად „სასაცილო" უწოდეს.

# ქართველთა სანაკრებო სამზადისი

(პირველი გვერდიდან)

**მცველები:** ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე — ფრაიბურგი), გიორგი ნემსაძე (დანდი), გოჩა ჯამარაული (ციურიხი). გიორგი ქინქლაძე (დერბი), ლადო ბურდული (დინამო თბ); **თავდამსხმელები:** შოთა არველაძე (აიაქსი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), რატი ალექსიძე (ჩელსი), გიორგი დემეტრაძე (სოსიედადი);

**დასახული** გეგმით ემზადებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. გუნდი სასტუმრო „მონოპოლში" მოთავსდა და ძირითადი ვარჯიშები რუსთავში ჰქონდა. „ფოლადიდან" ეროვნულზე გუშინ გადაინაცვლა და დღევანდელ მატჩამდე უნგრელ თანატოლებთან ბოლო რეპეტიციაც გაიარა. ვახტანგ კოპალეიშვილს ძირითადად იმათი ეიმედება, ვისაც არაერთი მატჩი ჩაუტარებია ახალგაზრდულ ნაკრებში. გუნდის დარჩენილი მატჩები, უმთავრესად, მომავალზეა გათვლილი და, ფაქტობრივად, ახალი შესარჩევი ციკლისთვის სამზადისს წარმოადგენს. **მეკარეები:** მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (დინამო თბ-2); **მცველები:** ვალერი აბრამიძე (ტორპედო), ჯაბა მუჯირი, დავით ზაზაშვილი (ორივე — ვიტ ჯორჯია), რამაზ სვანაძე, ალეკო ამისულაშვილი (ორივე — დინამო თბ), ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი); **ნახევარმცველები:** გიორგი დეკანოსიძე (ფიურტი), ირაკლი სამხარაძე (კარლსრუე). გივი კვარაცხელია, ლევან კორღალიძე (ორივე — სკონტო), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (მერანი); **თავდამსხმელები:** ლაშა ჯაკობია (ლიეჟი), მიხეილ ბობოხიძე (დინამო თბ);

უნგრელების ორივე ნაკრები 29 აგვისტოს საღამოს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა თბილისში. ეროვნული გუნდი „მეტეხში" დაბინავდა, ახალგაზრდული სასტუმრო „ვერეში". სტუმრები უმალვე შეუდგნენ ვარჯიშებს. თუ გადავხედავთ სატურნირო ცხრილს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დუნაის მკვიდრნი საქართველოში მოსაგებად ჩამოვიდნენ, ეს ეხება, როგორც ეროვნულ, ისე ახალგაზრდულ ნაკრებებს, თანაც ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში გერმანელებთან პირწმინდად გაცამტვერებული უნგრელები ჩვენთან პაექრობაში შეეცდებიან სირცხვილი ჩამოირეცხონ, ამასთანავე, ორივე გუნდს წინსვლის გარკვეული პერსპექტივა კიდევ აქვს. მეტოქეთა მუქარა თითქმის ჩვეულებრივ ამბად გვექცა, მაგრამ ძლიერისა და სუსტის, გამარჯვებულისა და დამარცხებულის ვინაობას მხოლოდ მატჩების შემდეგ გავიგებთ. საქართველოს ეროვნულ გუნდში, უნგრულ-ქართულ პირველ სანაკრებო შერკინებაში მონაწილეთა რიგებს ექვსი ფეხბურთელი გამოაკლდა. არ იქნებიან — ზოიძე, აბრამიძე, თოდუა, ქემოკლიძე, აჩიკო არველაძე და ქეცბაია. დანარჩენები მაღიარებს მინდორზე კვლავ დაუპირისპირდებიან. ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდი უფრო გადახალისებულია დღევანდელი შემადგენლობიდან, უნგრელ თანატოლთა ძალა თავისთავზე გამოსცადეს ვლადიმერ კაკაშვილმა, ლევან კორღალიძემ და მალხაზ ასათიანმა.

მაშ ასე, იწყება ევროპული და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი მატჩების საშემოდგომო ერთკვირეული, რომელიც ძველ კონტინენტზე ბევრ გუნდს მიუჩენს საბოლოო, კუთვნილ ადგილს, როგორც ახალგაზრდულ, ისე ეროვნულ ნაკრებთა დონეზე.

## მსაჯები სლოვენიიდან

**1. სექტემბერი. „ლოკომოტივი". 21 საათი.**

ეროვნულ ნაკრებთა მატჩს სლოვენიელი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი მსაჯია დრაგო კოსი, მას მიეხმარებიან ზორან ნოვარლიჩი და ზარკო ვიდალი, მეოთხე მსაჯია სრეჩკო კანდარე. ფიფას დელეგატია პორტუგალიელი ჟოზე და სილვა გარიდო. ბალკანელებს მსაჯობას შეუმოწმებს და შეაფასებს ჩეხი კარლ ბოუნეკი.

## ახალგაზრდებს კვიპროსელები განსჯიან

**31 აგვისტო. ეროვნული სტადიონი. 20 საათი.**

ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს კვიპროსელები მოემსახურებიან. მთავარი მსაჯია ანდრეას გეორგიუ, ასისტენტები — ანტონის პაპაპანაიოტუ და ფრიკოს პეტროუ, მეოთხე მსაჯია გეორგიოს პაპოუტსისი, შეხვედრის დელეგატია კარლ ბოუნეკა ჩეხეთიდან.

### VIII ჯგუფი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11-3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-3 | 10 |
| **უნგრეთი** | **5** | **3** | **0** | **2** | **7-6** | **9** |
| ლიტვა | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| **საქართველო** | **5** | **0** | **0** | **5** | **4-12** | **0** |

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15-3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 13-7 | 8 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 6-10 | 3 |
| ლიტვა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-18 | 1 |

# როცა ორივე მხარემ მხოლოდ მოგებისათვის უნდა იბრძოლოს

(პირველი გვერდიდან)

ყურებელი მივიდა), ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს არა იმდენად თავიანთი კარგი თამაშის, არამედ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების საოცრად ქაოტური, უნიათო მოქმედების წყალობით.

გავიხსენოთ უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაც იმ მატჩში: კარალი, დ. კორშოში, შებოკი, მატიუში, პეტიო, ლისტეში (ლენდვაი, 80), ჰალმაი (დარდაი, 70), ილეში, ა. კორშოში (დომბი, 77), ფ. ხორვატი, კაბატი.

როგორც ვხედავთ, ბერტალან ბიჩკეიმ დაახლოებით შეკრა ნაკრების კანდიდატების წრე. უკვე გარკვეულად შეიძლება ლაპარაკი მისი გუნდის ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე, წამყვანი მოთამაშეების ჯგუფზე და იმ პრობლემებზე, რომლის დაძლევასაც უნგრეთის ფეხბურთის მესვეურები ცდილობენ. ასეა თუ ისე, დღეისათვის უნგრეთის ნაკრები დარჩენილი თამაშების წარმატებით ჩატარების შემთხვევაში მაინც ინარჩუნებს მეორე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს. ამისათვის მან აუცილებლად უნდა მოიგოს თბილისში, შემდეგ კი რჩება ორი მატჩი: ბუდაპეშტში რუმინელებთან და სტუმრად იტალიელებთან. თუ თბილისში უნგრელები დამარცხდნენ ან ფრედ დაასრულეს შეხვედრა, მაშინ მათთვის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი, ფაქტობრივად, დასრულებული იქნება.

15 აგვისტოს ბუდაპეშტში უნგრეთის ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამხანაგურ მატჩში მასპინძლებმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გერმანელებს: 2-5, თუმცა, აქამდე მათთან თანაბარი ანგარიში ჰქონდათ (10-10).

რა პრობლემების წინაშე დგას ბერტალან ბიჩკეი მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი თამაშების წინ?

ახლა უნგრელებს ჰყავთ სავსებით საიმედო მეკარე კირალი, რომელიც სისტემატურად თამაშობს ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში – ბერლინის „ჰერტაში". ადრე უნგრეთის ნაკრებს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ხშირად ღალატობდნენ მეკარეები. ეს კირალიზე ნამდვილად არ ითქმის. მწვრთნელი არც ძირითადი გოლკიპერის შესაძლებელ შემცვლელებს ემდურის. ესენია საბოლჩ შაფარი, რომელიც თამაშობს ავსტრიის უმაღლესი ლიგის კლუბ „ზალცბურგში" და გაბორ ბაბოში (ჰოლანდიური „ბრედა"). იმის გამო, რომ უნგრელი კომენტატორები ასახელებენ კიდევ რამდენიმე მეკარეს (ლაიოშ სიუჩი ბუდაპეშტის „ფერენცვაროშიდან", ზოლტან ვეგი ბუდაპეშტის მტკ-დან და სხვები), ამ მხრივ ბიჩკეის რაიმე თავსატეხი არა აქვს.

აი, დაცვა კი სხვა საკითხია. აქ, ბიჩკეის, ერთი მხრივ, დიდი არჩევანი არა აქვს (შესაძლოა, ჩამოთვლილ მცველებს დარჩენილ თამაშებში დაემატოს ლასლო ბოდნარი, რომელმაც თავისთვის „დასავლეთის მიმართულება" კი არ აირჩია, არამედ, კიევის „დინამოში" თამაშობს). მეორე მხრივ კი დაცვის თამაშის დონე მწვრთნელს აშკარად არ აკმაყოფილებს. ამიტომაც ექსპერიმენტები სწორედ ამ ხაზზე ხდება.

შუა ხაზი, კომენტატორების აზრით, უფრო სტაბილური და ძლიერია. აქ ბიჩკეიმ ერთ პატარა ეშმაკობას მიმართა. უნგრეთისა და რუმინეთის ფეხბურთის მესვეურები ფხიზლად ადევნებენ თვალს ერთმანეთს. რუმინეთში არაერთი ეთნიკური უნგრელი თამაშობს, ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც ხომ უკანასკნელ ხანებამდე ეროვნებით უნგრელი ლასლო (ლადისლაუ) ბოლონი იყო. და აი ბიჩკეიმ ყურადღება მიაქცია ბუნდესლიგის „ენერგიში" სამ უნგრელთან მოთამაშე 33 წლის რუმინელ ნახევარმცველ ვასილე მირიუცეს. იგი მეტად ენერგიული ფეხბურთელია, „ენერგის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ ერთხელაც არ მიუწვევიათ... რუმინეთის ნაკრებში. მაშინ ბიჩკეი ადგა და მირიუცე... თვითონ მიიხმო. შუა ხაზზე ალნიშნავენ აგრეთვე ბელა ილეშს (მტკ), რომელმაც უნგრეთის ჩემპიონატში 21 გოლი გაიტანა. ეს მესამე შედეგია პეტერ კაბატისა (24) და ატილა ტოკოლის (22) შემდეგ.

თავდასხმაში მწვრთნელს ყოველთვის გამოჰყავს ფერენც ხორვატი, მისი პარტნიორები კი იცვლებიან. ბუქარესტის მატჩში, რომელშიც უნგრელებმა ჯერჯერობით ერთადერთი დამარცხება იგემეს, ხორვატის მხარდამხარ ითამაშა 23 წლის ფორვარდმა ბუდაპეშტის „ვაშაშიდან" ტომას სოვუმნიმ. იგი თუნდაც იმით იპყრობს ყურადღებას, რომ შავკანიანია, თუმცა არსაიდან არ გადმოუბირებიათ, ეროვნებით უნგრელია (დედა უნგრელი ჰყავს). საქართველოს ნაკრებთან კი ხორვატთან ერთად თამაშობდა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, პეტერ კაბატი (ბუდაპეშტის „ვაშაში").

ერთი სიტყვით, უნგრელები თბილისში მხოლოდ მოგებაზე ითამაშებენ. იგივე ითქმის საქართველოს ნაკრებზე, რომელმაც ავტორიტეტის აღსადგენად უნდა იბრძოლოს. სხვაგვარი შედეგი ჩვენებისთვის, უბრალოდ, მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

**გივი თორელი**

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

# ევროპა

***I ჯგუფი. 1 სექტემბერი***

სლოვენია — რუსეთი. მსაჯი: პოლი (ინგლისი)

შვეიცარია — იუგოსლავია. მსაჯი კოლომბო (საფრანგეთი)

ფარერები — ლუქსემბურგი. მსაჯი: სირიჩი (ხორვატია)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | 7 | 5 | 2 | 0 | 10-3 | 17 |
| **სლოვენია** | 7 | 3 | 4 | 0 | 11-7 | 13 |
| **იუგოსლავია** | 7 | 3 | 3 | 1 | 13-4 | 12 |
| **შვეიცარია** | 7 | 3 | 2 | 2 | 14-6 | 11 |
| **ფარერები** | 7 | 1 | 1 | 5 | 5-17 | 4 |
| **ლუქსემბურ.** | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

***II ჯგუფი. 1 სექტემბერი***

ირლანდია — ჰოლანდია. მსაჯი: კრუგი (გერმანია)

ანდორა — პორტუგალია. მსაჯი: ჰაუგე (ნორვეგია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ირლანდია** | 8 | 5 | 3 | 0 | 18-5 | 18 |
| **პორტუგ.** | 7 | 4 | 3 | 0 | 18-5 | 15 |
| **ჰოლანდია** | 7 | 4 | 2 | 1 | 21-8 | 14 |
| **ესტონეთი** | 8 | 2 | 2 | 4 | 10-16 | 8 |
| **კვიპროსი** | 8 | 2 | 2 | 4 | 12-24 | 8 |
| **ანდორა** | 8 | 0 | 0 | 8 | 4-25 | 0 |

***III ჯგუფი. 1 სექტემბერი***

ისლანდია — ჩეხეთი. მსაჯი: მესინა (იტალია)

დანია — ჩრ. ირლანდია. მსაჯი: ვოიჩეკი (პოლონეთი)

მალტა — ბულგარეთი. მსაჯი: შტრამპე (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დანია** | 7 | 4 | 3 | 0 | 13-5 | 15 |
| **ჩეხეთი** | 7 | 4 | 2 | 1 | 10-3 | 14 |
| **ბულგარეთი** | 7 | 4 | 2 | 1 | 12-7 | 14 |
| **ისლანდია** | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| **ჩრ. ირლან.** | 7 | 1 | 1 | 5 | 6-11 | 4 |
| **მალტა** | 7 | 0 | 1 | 6 | 2-18 | 1 |

***IV ჯგუფი. 1 სექტემბერი***

მოლდოვა — აზერბაიჯანი. მსაჯი: მელნიჩუკი (უკრაინა)

სლოვაკეთი — თურქეთი. მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)

მაკედონია — შვედეთი. მსაჯი: ლევნიკოვი (რუსეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | 7 | 5 | 2 | 0 | 13-1 | 17 |
| **თურქეთი** | 7 | 4 | 3 | 0 | 13-6 | 15 |
| **სლოვაკეთი** | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| **მაკედონია** | 7 | 1 | 3 | 3 | 9-10 | 6 |
| **აზერბაიჯანი** | 7 | 1 | 1 | 5 | 3-11 | 4 |
| **მოლდოვა** | 7 | 0 | 3 | 4 | 2-13 | 3 |

***V ჯგუფი. 1 სექტემბერი***

უელსი — სომხეთი. მსაჯი: ატარდი (მალტა)

პოლონეთი — ნორვეგია. მსაჯი: ლიბა (ჩეხეთი)

ბელარუსი — უკრაინა. მსაჯი: სარსი (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პოლონეთი** | 7 | 5 | 2 | 0 | 16-6 | 17 |
| **ბელარუსი** | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| **უკრაინა** | 7 | 2 | 4 | 1 | 7-7 | 10 |
| **უელსი** | 7 | 0 | 5 | 2 | 7-9 | 5 |
| **ნორვეგია** | 7 | 0 | 4 | 3 | 5-8 | 4 |
| **სომხეთი** | 7 | 0 | 4 | 3 | 6-12 | 4 |

***VI ჯგუფი. 1 სექტემბერი.***

შოტლანდია — ხორვატია. მსაჯი: მიხელი (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 6 | 4 | 2 | 0 | 23-5 | 14 |
| **ხორვატია** | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| **შოტლანდია** | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| **ლატვია** | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| **სან მარინო** | 7 | 0 | 1 | 6 | 3-26 | 1 |

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

***VII ჯგუფი. 1 სექტემბერი***

ბოსნია — ისრაელი. მსაჯი: შოხი (შვეიცარია)

ესპანეთი — ავსტრია. მსაჯი: ელიცონდო (არგენტინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| **ავსტრია** | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| **ისრაელი** | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| **ბოსნია** | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| **ლიხტენშტ.** | 6 | 0 | 0 | 6 | 0-16 | 0 |

***VIII ჯგუფი. 1 სექტემბერი***

ლიტვა — იტალია. მსაჯი: ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 6 | 5 | 1 | 0 | 15-3 | 16 |
| **რუმინეთი** | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| **უნგრეთი** | 5 | 2 | 2 | 1 | 13-7 | 8 |
| **საქართველო** | 5 | 1 | 0 | 4 | 6-10 | 3 |
| **ლიტვა** | 6 | 0 | 1 | 5 | 3-18 | 1 |

***IX ჯგუფი. 1 სექტემბერი.***

გერმანია — ინგლისი. მსაჯი: კოლინა (იტალია)

ალბანეთი — ფინეთი. მსაჯი: ერზოვი (თურქეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | 6 | 5 | 1 | 0 | 13-5 | 16 |
| **ინგლისი** | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| **საბერძნეთი** | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| **ფინეთი** | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| **ალბანეთი** | 6 | 1 | 0 | 5 | 5-10 | 3 |

## პირველი ლიგა, IV ტური

თორი — მილანი (წნ) 0-3

ლოკომოტივი3 — ქობულეთი 4-0

თსუ — ლოკომოტივი (სამტრ) 3-0

ცხინვალი — დინამო2 (თბ) 2-0

ლაზიკა — კოლხეთი (ხ) 1-1

დილა — მერანი2 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| **მილანი** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| **ლაზიკა** | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| **ცხინვალი** | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| **თსუ** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| **კოლხეთი (ხ)** | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| **ქობულეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 2-4 | 6 |
| **ლოკომ-3 (თბ)** | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| **დინამო-2 (თბ)** | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| **მერანი-2** | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| **ლოკომ (სამტრ)** | 2 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| **თორი** | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

# ოცდახუთი წლის წინათ

**ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამი თვალუწვდენელი მწვერვალია: 1981 წლის 13 მაისი. დიუსელდორფი. ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება. 1964 წლის 18 ნოემბერი. ტაშკენტი. თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და 1976 წლის სამი სექტემბერი მოსკოვში თბილისის „დინამო“ პირველად დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს. თუ ამ მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგებთ, პირველი იქნება ტაშკენტში გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, მეორე — მოსკოვში თასის მოპოვება, მესამე — დიუსელდორფის გამარჯვებით მოგვრილი უსაზღვრო ბედნიერება. დიუსელდორფის ტრიუმფი ქართული ფეხბურთის წარმატებების ლოგიკური დაგვირგვინება იყო.**

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებას 1976 წლის თასის ფინალში ცოტათი უცნაური ბედი ხვდა და ტაშკენტსა და დიუსელდორფში მოპოვებული ტრიუმფული გამარჯვების შუა აღმოჩნდა, თითქოსდა მათ შორის ჩაინთქა, ჩრდილში მოექცა.

თბილისის „დინამოს“ ბრძოლას საბჭოთა კავშირის თასის მოსაპოვებლად, დრამატიზმით აღსავსე თავისი ისტორია ჰქონდა და ოთხ ათეულ წელიწადს მოიცავდა. თასის მოსაპოვებლად ლაშქრობა „დინამომ“ ჯერ კიდევ შორეულ, 1936 წელს დაიწყო. უკვე პირველსავე შეხვედრაში ლამაზი, ტექნიკური თამაშით, მაყურებელთა უდიდესი სიმპათიები დაიმსახურა. არასოდეს უწერია დავიწყება თბილისის „დინამოს“ შეხვედრას საბჭოთა კავშირის თასზე 1936 წლის აგვისტოში მოსკოვის „სპარტაკთან“. მეოთხედფინალის ეს დრამატული და უშეღავათო ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა, და სამხრეთელების გამარჯვებით დასრულდა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისის „დინამო“ მონაწილეობდა საკავშირო თასის გათამაშების პირველ ორ ფინალურ მატჩში, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა, ჯერ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 2-0, ხოლო შემდეგ მოსკოვის „დინამოსთან“ — 5-2. ამის შემდეგ თასის გათამაშებაში „დინამოს“ ცხრაწლიანი პაუზა ჰქონდა და თასის ფინალში მხოლოდ 1946 წელს გადის. ამჯერად წინ აღუდგა დედაქალაქის „სპარტაკი“. თბილისელებს ცდა არ დაუკლიათ გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ ფორტუნამ კვლავ მოსკოველებს გაუღიმა და დაძაბულ, ძნელ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით 3-2 გაიმარჯვა „სპარტაკმა“. შემდეგ კვლავ პაუზა, ამჯერად კიდევ უფრო ხანგრძლივი და მხოლოდ 14 წლის შესვენების შემდეგ ისევ ახერხებს „დინამო“ თასის ფინალში გასვლას. ამჯერად მისი მეტოქე იყო მოსკოვის „ტორპედო“. ეს იყო თასის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი. თბილისელები კვლავ ახლოს იყვნენ მიზანთან და მხოლოდ უკანასკნელ წამებზე ფორტუნამ ზურგი აქცია სამხრეთელებს. ტორპედოელთა ლიდერმა, სახელგანთქმულმა ვალენტინ ივანოვმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა სერგო კოტრიკაძის კარში. თბილისელთა დამარცხებაში არცთუ უკანასკნელი როლი მიუძღვის კიევული არბიტრის ცაპოვეცკის არაობიექტურ მსაჯობას. შემდეგი ფინალის თამაში თბილისელებს ათი წლის მერე მოუწიათ, 1970 წლის რვა აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით 2-1 გაიმარჯვეს და თასს დაეუფლნენ. აღსანიშნავია, რომ დამარცხებულთაგან იაშინის კარში ულამაზესი გოლი გაიტანა შოთა ხინჩაგაშვილმა. და აი, 1976 წელი. „დინამო“ კვლავ ფინალშია. ეს მეექვსე ცდაა.

70-იანი წლების შუა ხანებში „დინამოს“ გარკვეული ჩავარდნა ჰქონდა, რაც ძირითადად თაობათა ცვლის პროცესთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამ რთულ ვითარებაში მოვიდა გუნდში ახალი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი. სწორედ მას უნდა ეტვირთა გუნდის კრიზისიდან გამოყვანა და ისიც შეუდგა საქმეს. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაბიჯები ფრიად დამაიმედებელი აღმოჩნდა.

იმხანად დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სეზონი იხსნებოდა სათასო შეხვედრებით. პირველ ტურში „დინამოს“ მეტოქე იყო პირველი ლიგის წარმომადგენელი ზაპოროჟიეს „მეტალურგი“. გუნდისთვის, რომელიც ბოლო ხანებში სერიოზულ კრიზისს განიცდიდა, ზაპოროჟიეში მატჩი ძნელი იქნებოდა. იოლ გასეირნებას არც არავინ ელოდა. სტუმრები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია. ძირითადი დრო საყიმო ანგარიშით დამთავრდა 1-1. თბილისელთაგან ბურთი დავით ყიფიანმა გაიტანა. პენალტების სერიაში სტუმრებმა იმარჯვეს. მეკარე დავით გოგიამ მოახერხა ერთი პენალტის მოგერიება. „დინამო“ შემდგომ წრეში გავიდა.

მერვედფინალში „დინამოს“ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე ელოდა. ეს იყო უმაღლესი ლიგის ბინადარი ლენინგრადის „ზენიტი“. სულ ცოტა ხნის წინათ, ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ლენინგრადში და ნევისპირელებმა იმარჯვეს. ახლა სათასო მატჩში თბილისელები რევანშის აღებას გეგმავდნენ, მით უმეტეს, რომ ამჯერად „დინამო“ საკუთარ მოედანზე მიიღებდა მოწინააღმდეგეს. თბილისელები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გოგია, ხიზანიშვილი (ებრალიძე), ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია. მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. თბილისელთა უპირატესობა მეორე ტაიმში გამოიკვეთა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე ტაიმის დასაწყისი, როდესაც ჯერ ქორიძემ, ხოლო შემდეგ ჩივაძემ ორი გოლი გაიტანეს ლენინგრადელთა კარში. მატჩის მიწურულს ყიფიანის მიერ გატანილმა მესამე გოლმა კიდევ უფრო განამტკიცა თბილისელთა უპირატესობა. „დინამო“ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა და მეოთხედფინალში მას ლვოვის „კარპატი“ ელოდა.

მეოთხედფინალისადმი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ცოტა ხნის წინ, თბილისელებმა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში, საკუთარ მოედანზე, ბრწყინვალე სტილით, დიდი ანგარიშით — 3-0 დაამარცხეს მოწინააღმდეგე და ახლა ისინი შეეცდებოდნენ რეაბილიტაციას: „დინამოს“ რიგებში იყვნენ: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ქორიძე, დარასელია, ყიფიანი, ჩელებაძე. შეხვედრა მართლაც ძალზე ძნელი აღმოჩნდა. თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და სულ მალე მათ ანგარიშის გახსნის მშვენიერი შანსი მიეცათ. სტუმრებმა საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქციეს ყიფიანი, მაგრამ დაზარალებულმა ვერ გამოიყენა პენალტი. ყიფიანმა სავსებით გამოისყიდა თავისი შეცდომა და პირველი ნახევრის მიწურულს, მეტად რთული მდგომარეობიდან გაიტანა გოლი. მეორე ტაიმის დასაწყისში ლვოველებმა კვლავ ვერ შეძლეს ყიფიანის შეჩერება და იგი ისევ წააქციეს საჯარიმო მოედანზე. ამჯერად პენალტის რეალიზაცია ქორიძემ იკისრა. მისი დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. მასპინძლებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 2-1 და თასის ნახევარფინალში გაიკაფეს გზა.

თასის გათამაშებამ მცირე ტაიმაუტი აიღო შემოდგომამდე. ეს გამოწვეული იყო მონრეალის ოლიმპიადაში საბჭოთა კავშირის ნაკრების მონაწილეობით, რომლის რიგებში მიწვეული იქნა თბილისის „დინამოს“ შეტევის ლიდერი დავით ყიფიანი, თუმცა შემდეგ ის მწვრთნელებმა ოლიმპიადაზე რატომღაც არ ათამაშეს. ასეც ხდებოდა ხოლმე. რას იზამ!

შესვენების პერიოდში გუნდმა ერთ ხელშესახებ წარმატებას მიაღწია. 1976 წლის საზაფხულო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ნახევარფინალი ამიერკავკასიის და უკრაინის გუნდების თავისებურ შეჯიბრად გადაიქცა. „დინამოს“ მეტოქე იყო დონეცკის „შახტიორი“, ხოლო ერევნის „არარატის“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. თბილისელებს ელოდათ უაღრესად მძიმე გასვლითი მატჩი დონეცკში. ეს შეხვედრა გაიმართა 30 აგვისტოს. სტუმრები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე), ჩელებაძე (წერეთელი). თამაშის წინ თბილისელებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ შემადგენლობასთან დაკავშირებით. საქმე ის იყო, რომ ტრავმირებულნი იყვნენ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები ვ. ჭელიძე, დ. მუჯირი, ვ. დარასელია. უმრავლესობა ამ წყვილში ფავორიტად „შახტიორს“ ასახელებდა. მაგრამ პროგნოზები სპორტში ხომ იცით, მეტად სარისკო საქმეა და ეს ამ მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო. ეს იყო „დინამოს“ ისტორიაში ნათამაშები ერთ-ერთი საუკეთესო გასვლითი მატჩი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ფეხბურთის ისტორიაში. დინამოელებმა ეს პრინციპული პაექრობა ბრწყინვალედ ჩაატარეს და ფავორიტად მიჩნეულ „შახტიორს“ აშკარად აჯობეს საკუთარ მოედანზე. ყიფიანმა და გუცაევმა თითო გოლი გაიტანეს „შახტიორის“ კარში და გუნდს მეექვსედ მოუპოვეს საბჭოთა კავშირის ფინალში თამაშის უფლება, სადაც მათი მეტოქე იქნებოდა ერევნის „არარატი“.

ფინალური მატჩი გაიმართა მეოთხედი საუკუნის წინ, 1976 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ლუჟნიკის სტადიონზე. მეზობელთა ურთიერთობა მწვანე მინდორზე ყოველთვის მწვავე, უკომპრომისო ხასიათს ატარებდა და ალბათ, ფინალური მატჩი ამ დაპირისპირების კულმინაცია იყო. საკავშირო ჩემპიონატის ორივე მატჩი ერევანშიც და თბილისშიც ფრედ დასრულდა. თასზე ფრე გამორიცხული იყო. საზაფხულო ჩემპიონატში ორივე გუნდმა წარმატებას მიაღწია. თბილისელებს ბრინჯაოს მედალი ერგოთ, ერევნელებს — ვერცხლისა.

გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ. **„დინამო“:** გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი (წერეთელი), ჩელებაძე. **„არარატი“:** ოვსეპიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, მესროფიანი, ს. პეტროსიანი, ფარსადანიანი, ქეროფიანი, ოჰანესიანი (აზარიანი), ხალაიჯიანი (ცაზარიანი), ნ. პეტროსიანი. მატჩს სჯიდა მოსკოველი რეფერი პ. კაზაკოვი.

მატჩი დაიწყო ორმხრივი იერიშებით. სახიფათო მომენტები იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე კართან. ერთ მომენტში ნ. ხიზანიშვილმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. ეს გოლი რომ გასულიყო, ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა ფინალური შეხვედრა. თანდათან გამოიკვეთა „დინამოელთა“ უპირატესობა. მატჩის 27-ე წუთზე დავით ყიფიანმა საჯარიმო მოედნიდან ძლიერი თავური დარტყმით ბურთი ერევნელთა კარის ბადეში გაახვია. ამ გოლს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისელებმა ირწმუნეს საკუთარი ძალების და უფრო ლაღად ათამაშდნენ. მატჩის კულმინაციად იქცა 64-ე წუთი, როდესაც ერევნელებმა საჯარიმო მოედანზე მოცელეს ვლადიმერ გუცაევი. ერევნელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ მატჩის გადარჩენის იმედი, მაგრამ ფირუზ კანთელაძემ აუღელვებლად შეასრულა პენალტი და ანგარიში გაზარდა — 2-0. ხოლო 68-ე წუთზე რევაზ ჩელებაძემ უძლიერესი დარტყმით დააფიქსირა მატჩის საბოლოო შედეგი — 3-0 „დინამოს“ სასარგებლოდ. მეექვსე ცდით მოპოვებული იქნა ასე ნანატრი გამარჯვება და ბოლოს და ბოლოს, თბილისის „დინამო“ დაეუფლა საპატიო თასს.

ქართველმა ფეხბურთელებმა სათასო ბატალიები ბრწყინვალედ ჩაატარეს. ყველა მატჩში გაიმარჯვეს ბურთების შესანიშნავი შეფარდებით — 11-2. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს — ყიფიანმა — 5, ქორიძემ — 3, ჩივაძემ, კანთელაძემ და ჩელებაძემ — თითო. აღსანიშნავია, რომ დავით ყიფიანი სათასო მატჩებში უგოლოდ არ გამოსულა მოედნიდან. ესეც თავისებური რეკორდია.

თბილისელთა კაპიტანმა მანუჩარ მაჩაიძემ გაიმეორა ლეგენდარული ბორის პაიჭაძის რეკორდი და თასის სამ ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას, როგორც გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, ორჯერ ხელთ ეპყრა საპატიო ჯილდო.

დასასრულ, კიდევ ერთი საინტერესო მიღწევა. თბილისის „დინამო“ ნოდარ ახალკაცის მეთაურობით სამჯერ გავიდა საკავშირო თასის ფინალში და ორჯერ დაეუფლა საპატიო ჯილდოს.

**მერაბ კალანდაძე**



ასე გაიტანა პენალტიდან ფირუზ კანთელაძემ მეორე გოლი...

# არის! ასრულდა ოცნება!.. მეექვსე და „სამართალი“

## საბჭოთა კავშირის თასის დაუვიწყარი ფინალი. ერევნის „არარატი“ – თბილისის „დინამო“

რა დაუნდობლად მიჰქრის წუთისოფელი. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა, თითქოს გუშინ იყო.

1976 წლის 3 სექტემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის, კერძოდ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

იმ ბედნიერ დღეს თბილისის „დინამომ“ მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე დიდი ანგარიშით — 3-0 დაამარცხა ერევნის „არარატი“ და თავისი არსებობის მანძილზე პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

1976 წლის გაზაფხულზე გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტი ჩაიბარა უნიჭიერესმა მწვრთნელმა, სულმნათმა ნოდარ ახალკაცმა.

ნათქვამია: წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და გუნდმა ნოდარ ახალკაცის მოსვლა „დინამოში“ 1976 წელს ორჯერ ბრინჯაოს მედლებით აღნიშნა (შეგახსენებთ, იმ წელს ჩატარდა საბჭოთა კავშირის საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატები.)

ამ ორჯერ ბრინჯაოს მედლებს შორის არის თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ საბჭოთა კავშირის თასის დაუვიწყარი ფინალი, რომელზედაც ქვემოთ მოგითხრობთ.

მატჩს წინ უძღოდა უმძიმესი ნახევარფინალური ორთაბრძოლა ჩვენთვის ერთ-ერთ უხერხულ მეტოქესთან დონეცკში „შახტიორთან“ 30 აგვისტოს.

გაიტანეს რა ორი ლამაზი გოლი დათო ყიფიანმა და ვოვა გუცაევმა, „დინამო“ ფინალში გაიყვანეს, ეს უკვე რიგით მეექვსე ფინალი იყო დინამოელებისთვის.

იმდენად იყო თავის გამარჯვებაში დარწმუნებული, „შახტიორმა“ მოსკოვში ფინალზე გასამგზავრებელი ბილეთებიც კი შეუკვეთა, ხოლო დინამოსთვის თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთები დაჯავშნეს.

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — „შახტიორის“ ბილეთებით მოსკოვში თბილისის „დინამო“ გაემგზავრა.

1936 წლიდან მოყოლებული ყველა ფინალი მოსკოვში ტარდებოდა. ჩვენი მეტოქეები, წინა ხუთ ფინალში მოსკოველები იყვნენ მუდამ, მოგეხსენებათ, შინ საკუთარი კედლებიც ეხმარებიანო, ამას დაუმატეთ მიკერძოებული მსაჯობა. მარტო კიეველი ცაპოვეცკის გახსენება რად ღირს 1960 წლის ფინალში „ტორპედოსთან“.

1975 წელს, რუსთაველის თეატრის ბათუმში გასტროლების დროს, (ჩემი პირველი სამსახური იყო), თეატრის ერთ-ერთმა მსახიობმა ინატრა: ფინალი — ერევნის „არარატი“ — თბილისის „დინამო“. თამაში შედგება ბაქოში.

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მან 1976 წლის ფინალისტები გამოიცნო — იმ განსხვავებით, რომ ისევ მოსკოვი.

ახლა კი მივყვეთ ფინალური მატჩის მსვლელობას. მაშ ასე: 3 სექტემბერი. 1976 წელი. პარასკევი. მოსკოვი. ლუჟნიკის სტადიონი. დაუვიწყარი ფინალი.

### ერევნის „არარატი“ – თბილისის „დინამო“

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ნაზარ პეტროსიანმა პირველივე წუთზე კინაღამ გოლი გაგვიტანა. ამ მომენტში ჩვენმა მეკარემ დათო გოგიამ მიიღო მხრის ტრავმა.

ბარაქალა მის ვაჟკაცობას, რომ ტრავმირებულმა მთელი მატჩი ფრიადზე ითამაშა.

მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. რომ იტყვიან, გოლი მომწიფდა, რა თქმა უნდა, „არარატის“ კარში და აი მოსახდენი მოხდა 27-ე წუთზე რეზო ჩელებაძის ჩაწოდების შემდეგ, დათო ყიფიანმა ლამაზი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა 1-0. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

დინამოელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველ ტაიმში აღებულ ტემპს უფრო მოუმატეს. როგორც იტყვიან, ცეცხლი დაანთეს „არარატის“ კართან და შედეგმაც არ დააყოვნა.

64-ე წუთზე ვოვა გუცაევის მოცელვისათვის მსაჯმა პ. კაზაკოვმა პენალტი დანიშნა. დაძაბულობამ კუ-

იხ. მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრის! ასრულდა ოცნება!.. მეექვსე და „სამართალი"

(მეხუთე გვერდიდან)

ლმინაციურ წერტილს მიაღწია. ვერავინ ბედავს თავის თავზე აიღოს გადამწყვეტი დარტყმა, რკინის ნერვები მხოლოდ ფიროუზ კანთელაძეს აღმოაჩნდა. მან რაჭვული სიდინჯით დადო ბურთი 11-მეტრიანის ნიშნულზე და სვანური სიფიცხით მეორე ბურთი გაგზავნა „არარატის" კარში.

თასს ცალი ფეხი უკვე თბილისში ედგას. 68-ე წუთზე კი რეზო ჩელებაძემ ყუმბარისებური დარტყმით მესამედ „შეამოწმა ა. აბრამიანის კარის ბადის სიმაგრე" და წერტილი დაუსვა თბილისთა დამსახურებულ გამარჯვებას.



სანუკვარი თასი თბილისის „დინამოს" კაპიტნის მანუჩარ მაჩაიძის ხელთაა.

ამბობენ, რომ მეორე დღეს ერევანში ქიგულის მარკის ყველა 03 გაიყიდა.

ჩვენ კი სპი-ს ბიჭები მეორე დღეს, 4 სექტემბერს, აეროპორტში გავემართეთ გამარჯვებული დინამოელების დასახვედრად.

თბილისის აეროპორტში ნამდვილი საფეხბურთო ამინდი დგას. ზღვა ხალხი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება. ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა „დინამო" ჩამოფრინდაო.

მე მოხერხებული ადგილი დავიკავე თვითმფრინავის ტრაპის ქვეშ და მოხდა სასწაული. თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩნდნენ შავ-შავი ადამიანები, თავიდან ისიც კი ვიფიქრე ასე უცბად რამ, გააშავა ჩვენი ბიჭები-მეთქი, მაგრამ როცა გავიგეთ, რომ კუბის დელეგაცია ჩამოფრინდა, არ დავიბენით და ავტეხეთ გამაყრუებელი ყიჟინა.

### ვივა კუბა! ვივა კუბა!

კუბელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სულ მალე გამოჩნდა თვითმფრინავი, რომელმაც თბილისში გამარჯვებული დინამოელები ჩამოიყვანა ნანატრი თასით ხელში.

აეროპორტში შამპანურის ბოთლი გასკდა. ამ წუთების დავიწყება შეუძლებელია.

იმ ბედნიერ დღეებში ყველას პირზე „დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვება ეკერა, ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ ერთ ცნობილ გეოგრაფს (ფეხბურთის თავგადადებულ გულშემატკივარს) ჰკითხეს, საქართველო ევროპას მიეკუთვნება თუ აზიას, პასუხი ორიგინალური იყო: აი თუ ჩვენი ბიჭები ევროპის თასსაც ჩამოიტანენ, საბოლოოდ გადაწყდება საკითხი ევროპის სასარგებლოდო.

წინ იყო 1981 წლის ბედნიერი 13 მაისის ღამე.

ახლა ისევ ჩვენს „ოქროს ბიჭებს" დავუბრუნდეთ. ის, რაც ვერ შეძლო ლეგენდარული ბორის პაიჭაძის, ბასა ლოლობერიძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, შოთა იამანიძის (ყველას ნათელი დაადგეს) თაობამ, შეძლო მანუჩარ მაჩაიძის, დათო ყიფიანის, ვოვა გუცაევის მეოთხე თაობამ სულმნათი ნოდარ ახალკაცის მეთაურობით.

აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას ჩვენო „ოქროს ბიჭებო"!

ჩვენმა ხელისუფლებამ დანაპირები შეასრულა და ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, 26 სექტემბერს გაიხსნა ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახელობის თბილისის „დინამოს" განახლებული სტადიონი (ერთ-ერთი უნიკალური სპორტული ნაგებობა ევროპის მასშტაბით), რომლის საზეიმო გახსნის დიდი ზეიმის მონაწილე მეც ვიყავი.

ნეტავი იმ დროს! ხარობდა ყველა, დიდი თუ პატარა. ვალში არც ჩვენი ხელოვნების მუშაკები დარჩნენ. კომპოზიტორმა და თბილისის „დინამოს" ერთგულმა გულშემატკივარმა ვაჟა აზარაშვილმა შექმნა შესანიშნავი სიმღერები „დინამოსა" და დინამოელებზე: „საქართველოში არწივი, ზღვიდანაც ამოფრინდება".

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა. თითქოს გუშინ იყო.

დღეს უჭირს ჩვენს ბედკრულ საქართველოს, სულს ღაფავს ქართული ფეხბურთი, შველას ითხოვს ეროვნული სტადიონი, მაგრამ...

ცხონებული ეროსი მანჯგალაძის სიტყვებით მინდა დავამთავრო რეპორტაჟი:

„ვინ იცის, თასო! რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი!

**თენგიზ ოთიაშვილი,**
საგარეჯოს რ-ნი, სოფ. კაკაბეთი.

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში
## კონკაკაფის ზონა

*1-2 სექტემბერი*
აშშ — ჰონდურასი
იამაიკა — მექსიკა
ტრინიდადი და ტობაგო — კოსტა რიკა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 4 | 1 | 1 | 7-2 | 13 |
| კოსტა რიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| ჰონდურასი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-11 | 8 |
| იამაიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 5-8 | 8 |
| მექსიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 6 | 0 | 1 | 5 | 4-13 | 1 |

## ახალგაზრდული ჩემპიონატი

### I ჯგუფი

*31 აგვისტო*
შვეიცარია — იუგოსლავია
*1 სექტემბერი*
სლოვენია — რუსეთი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 17-5 | 11 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 0 | 14-5 | 11 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| ლუქსემბურ. | 6 | 0 | 0 | 6 | 1-27 | 0 |

### II ჯგუფი

*31 აგვისტო*
ირლანდია — ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-3 | 16 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| ირლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 6-6 | 9 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-14 | 6 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-18 | 0 |

### III ჯგუფი

*31 აგვისტო*
მალტა — ბულგარეთი
ისლანდია — ჩეხეთი
დანია — ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16-5 | 18 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| დანია | 7 | 2 | 3 | 2 | 11-9 | 9 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| ჩრდ. ირლან. | 7 | 2 | 1 | 4 | 9-14 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 1-13 | 2 |

### IV ჯგუფი

*31 აგვისტო*
მოლდოვა — აზერბაიჯანი
სლოვაკეთი — თურქეთი
მაკედონია — შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-3 | 16 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 14 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-16 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 1 | 5 | 3-11 | 4 |
| მაკედონია | 7 | 1 | 0 | 6 | 4-15 | 3 |

### V ჯგუფი

*31 აგვისტო*
ბელარუსი — უკრაინა
უელსი — სომხეთი
პოლონეთი — ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 0 | 2 | 19-7 | 15 |
| უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 11-9 | 13 |
| ბელარუსი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-8 | 12 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-11 | 11 |
| სომხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-13 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-17 | 0 |

### VI ჯგუფი

*31 აგვისტო*
შოტლანდია — ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ლატვია | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

UEFA UNDER-21 Championship

### VII ჯგუფი

*31 აგვისტო*
ესპანეთი — ავსტრია
*1 სექტემბერი*
ბოსნია — ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ისრაელი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-10 | 6 |
| ავსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ბოსნია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

### VIII ჯგუფი

*31 აგვისტო*
საქართველო — უნგრეთი
ლიტვა — იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11-3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-3 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| ლიტვა | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| საქართველო | 5 | 0 | 0 | 5 | 4-12 | 0 |

### IX ჯგუფი

*31 აგვისტო*
ალბანეთი — ფინეთი
გერმანია — ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-5 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 4 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-14 | 1 |

## თქვენთვის, ერუდიტებო!

**1. ვინ იყო მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური შეხვედრების მთავარი მსაჯებიდან ყველაზე ახალგაზრდა:**
ა) ეკლუნდი (შვედეთი)
ბ) მენდესი (მექსიკა)
გ) ტეილორი (ინგლისი)

**2. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (არგენტინა — ჰოლანდია 3-1) ვინ გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი ჰოლანდიელებიდან:**
ა) რენსენბრინკი
ბ) რეპი
გ) ნანინგა

**3. ვინ გახდა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-4 ადგილის მფლობელი:**
ა) ინგლისი
ბ) იტალია
გ) არგენტინა

**4. ვინ გახდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის (1930 წ) საუკეთესო ბომბარდირი:**
ა) სტაბილე (არგენტინა)
ბ) სეა (ურუგვაი)
გ) ირიარტე (ურუგვაი)

**5. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში (ბრაზილია — შვედეთი 5-2) რომელმაც ფეხბურთელებმა შეასრულეს „დუბლი":**
ა) პელემ და ზაგალომ
ბ) ვავამ და პელემ
გ) დიდიმ და პელემ

წინა ნომრის პასუხები:
1 — ა, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ა, 5 — ა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ავსტრალიელთა ახალი პრეზიდენტი

**ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დაინიშნა ნიკ გრეინერი. იგი ადრე ახალი სამხრეთ უელსის პროვინციის პრემიერ-მინისტრი იყო, შარშან კი, სიდნეიში 2000 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.**

### არც ნეგრო, არც მიხაილოვიჩი

ეს-ეს არის „დაიწყო იტალიაში სეზონი, რომის „ლაციოს" კი უკვე ორი ძირითადი მცველი გამოაკლდა. როგორც გამოირკვა, ჯერ კიდევ უეფას თასზე „კოპენჰაგენთან" დაშავებულ პაოლო ნეგროსა და სინიშა მიხაილოვიჩის მკურნალობას მთელი თვენახევარი დასჭირდება.

### 64 წლის მაცონე უხუცესია

**ამჟამად იტალიის „სერია A"-ს მწვრთნელებს შორის უხუცესია 64 წლის კარლო მაცონე, რომლის ხელმძღვანელობითაც 2000-2001 წლების სეზონში პროვინციულმა „ბრეშიამ" დიდ წარმატებას მიაღწია.**

**აგვისტოში მაცონეს „ბრეშიას" კლუბის მესვეურებთან უთანხმოების გამო სხვა გუნდში გადასვლა უნდოდა, მაგრამ რობერტო ბაჯოსა და სხვა მოთამაშეების თხოვნით მაინც დარჩენა გადაწყვიტა.**

### გარი(კ) კასპაროვი – „ანჟიში"

მახაჩყალის „ანჟის" შემადგენლობაში გამოდის სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც თავისი სახელითა და გვარით იპყრობს ყურადღებას.

საქმე ის არის, რომ 17 წლის ნახევარმცველს ჰქვია ...გარი (კ) კასპაროვი, განთქმული მოჭადრაკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრული სეხნიაა.

## იტალიის თასის პირველი ეტაპი (III ტური)

### A ჯგუფი

ჯენოა — ბარი 4-0
ტრევიზო — არეცო 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| ტრევიზო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| არეცო | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| ბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |

### B ჯგუფი

კომო — ვენეცია 1-1
კოზენცა — ასკოლი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| ვენეცია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| კოზენცა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ასკოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

### C ჯგუფი

პალერმო — ნაპოლი 3-0
სიენა — ლივორნო 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| ლივორნო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

### D ჯგუფი

კალიარი — ლუმეცანე 0-0
მოდენა — რეჯინა 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| რეჯინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| ლუმეცანე | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

### E ჯგუფი

ჩიტადელა — აველინო 3-1
მონცა — სამპდორია 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტადელა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| აველინო | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| მონცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

### F ჯგუფი

მესინა — ვიჩენცა 0-0
კროტონე — პესკარა 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| ვიჩენცა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| პესკარა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| კროტონე | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

### G ჯგუფი

ტერნანა — კიევო 1-1
პისტოიეზე — პრატო 2-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტერნანა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| კიევო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| პრატო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| პისტოიეზე | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |

### H ჯგუფი

კატანია — ანკონა 0-1
ემპოლი — სალერნიტანა 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| ანკონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| სალერნიტანა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| კატანია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

## „ანჟი" — „რეინჯერსი"

UEFA CUP — უეფას თასი

გუშინ გამოქვეყნდა ოფიციალური ფასი ბილეთებზე უეფა-ს თასზე „ანჟი" — „რეინჯერსის" შეხვედრისა. მინიმალური ფასია 10 დოლარი, ხოლო მაქსიმალური — 50 დოლარი. ყველა დამსწრე გულშემატკივარი ბილეთთან ერთად მიიღებს 32 გვერდიან ფ. რად პროგრამასაც.

# ვეტერანი — ახალი ვარსკვლავი

***ვაგრძელებთ გიუნტერ ნეცერისა და სებასტიან დაისლერის საუბრის გამოქვეყნებას. იგი ყოველკვირეულმა „შპორტ-ბილდმა" წარმართა (დასაწყისი იხ. „ლელო" №66).***



დაისლერი



ნეცერი

**კორ: პრესა და გულშემატკივრები დიდ ზეწოლას ახდენენ მოთამაშეებზე. ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდა მოთამაშე შეიძლება კიდევაც გატყდეს.**

**დაისლერი:** ვფიქრობ, ამას შეიძლება კაცი წინ აღუდგეს. მე ისეთი გულუბრყვილო აღარა ვარ, როგორიც ჩემი ბერლინური კარიერის დასაწყისში ვიყავი, როცა დიდი ხმაური ატყდა. ამის შემდეგ ზოგი რამ ვისწავლე, გამოცდილება შევიძინე.

**ნეცერი:** როცა ძალიან კარგად თამაშობ, ვერავინ შეგეხება. როცა კრიზისს განიცდი, ყველა ჟურნალისტი ერთად გიტევს. საერთოდ, ეს ყველა დროის, ყველა ფეხბურთელს ეხება.

**კორ: ჰერ ნეცერ, იქნება დაისლერმა რაიმე არაჩვეულებრივი ჩაიდინოს? ერთხელ ცოლმა ბეკენბაუერი ვაგნერის ოპერაზე წაიყვანა, რის შემდეგაც იგი სკანდალურ ქრონიკაში მოხვდა.**

**ნ:** დაისლერმა მშვენივრად იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

**დ:** ჩემთვის ახლა მთავარი ფეხბურთია. ჰერ ნეცერმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებ ჩემს გზას და ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. ვნახოთ, რა გამომივა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ბულვარული ხმაური ჩემთვის სრულიად შეუფერებელია.

**კორ: ფეხბურთის ვარსკვლავს შურის პირობებში უხდება ცხოვრება. ამის გამო ხომ არ არის, სებასტიან, რომ შენ ცდილობ რაც შეიძლება შეუმჩნევლად იცხოვრო, რომ ეს შურის გრძნობა კიდევ უფრო არ გაძლიერდეს?**

**დ:** ყველაფერი ის, რასაც ფეხბურთთან დამოკიდებულება არა აქვს, ჩემთვის არ არსებობს.

**ნ:** გთხოვთ სწორად გამიგოთ. ადრე მეც საკმაოდ შეშინებული ვჩანდი თუკი ვინმე გამოაქვეყნებდა წერილს და ჩემს თამაშს უარყოფითად შეაფასებდა, ქუჩაში გამოსვლისაც კი მეშინოდა. ამასთან, დადგება დრო, როცა სებასტიანი უფრო გაბედულად უნდა მოიქცეს. მან თავის სპორტულ ზრდაზე უნდა იფიქროს. აუცილებლად ლიდერის პოზიცია უნდა დაიკავოს. თუკი ნაკრების ძირითადი მოთამაშე გახდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად წაუყვანია საქმე.

**კორ: დაისლერის შემდეგი ნაბიჯი ხომ არ უნდა იყოს რომელიმე სუპერკლუბში გადასვლა?**

**ნ:** ეს მან ძალიან ზუსტად უნდა აწონ-დაწონოს. თუკი ბერლინში ყველაფერი მისთვის ხელსაყრელი იქნება, მაშინ ჯერჯერობით სჯობს აქ დარჩენა. ამავე დროს იგი არ უნდა შეეცადოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, რომელიმე სუპერკლუბში გადავიდეს, თუმცა არც ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ივარგებს. ამ ვარიანტსაც ხომ თავისი უპირატესობა აქვს.

**დ:** ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი საქმეებით. ბერლინში, მართალია, ამის შესახებ სხვადასხვა ხმაც ვრცელდება (მიუნხენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისი გეგმაა შემადგენლობის გაძლიერება ბალაკითა და დაისლერით — რედ.).

**კორ: ბერლინი იმიტომ მოგწონთ, რომ კონტრაქტის პირობები თქვენთვის ხელსაყრელია?**

**დ:** ვიცი, როგორია კონტრაქტი და რატომ მაკმაყოფილებს.

**ნ:** ახლა მოთამაშეები თავს ისე გრძნობენ, როგორც სამოთხეში. ისინი ყველაფრის ბატონ-პატრონნი არიან და კლუბს თავიანთ პირობებს ჰკარნახობენ, მაშინაც კი, როცა ჯეროვნად ვერც კი ფლობენ ბურთს.

**დ:** როცა ხედავ, რა ხელფასს იღებენ ფეხბურთელები, რამდენი ეკუთვნით მათ სხვა კლუბებში გადასვლისათვის, ზოგჯერ შეიძლება არც დაიჯერო. ის, რაც უბრალო ჰობს მოაქვს, ყოველგვარ ოცნებებს აჭარბებს.

**ნ:** გესმით, რას ლაპარაკობს? ფეხბურთს ჰობს უწოდებს, ჩემს დროში ერთ კაცსაც ვერ ნახავდით, ამას რომ იტყოდა. რა დრო დაგვიდგა!

**კორ: დიახ, მაგრამ ამ ჰობიმ შეიძლება ფეხი დაგაკარგვინოს და საერთოდ, ცარიელ-ტარიელი დაგტოვოს.**

**დ:** სწორი შენიშვნაა. მაგრამ სისულელე იქნებოდა მხოლოდ ამაზე ფიქრი. საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ. თუკი სამუშაოში კარგ ფულს გთავაზობენ, უარს ხომ არ იტყვი, ხომ უნდა იფიქრო ახლობლებზე, ოჯახზე.

**კორ: ხომ არ გიკარნახებს შექმნილი სიტუაცია, რომ დროა „ბაიერნში" გადახვიდე?**

**ნ:** თუ სებასტიანს ძალიან ბევრი გეგმა ექნება, ყველაფერი შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს. ყველაფერს ოსტატობის დონე და საბოლოო შედეგი გადაწყვეტს. არასწორი იქნებოდა დაჰყვე „ბაიერნის" ზეწოლას, რომელსაც მართლაც ძალიან უნდა სებასტიანის გადაბირება, თუ წინასწარ არ გაარკვიეს, შეეფერები თუ არა მას. როსიცკიმ, მაგალითად, ვერ გაბედა „ბაიერნში" გადასვლა, ეშინოდა, მისთვის სათადარიგო შემადგენლობაში არ ეკრათ თავი. დორტმუნდის „ბორუსიაში" თამაში კი მისთვის იდეალური ვარიანტი გამოდგა. სებასტიანს შეუძლია საკუთარ თავს უთხრას: „ჰერტაში" წამყვანი ფეხბურთელი ვარ, ვიცი საკუთარი თავის ფასი". თუკი იგი მხოლოდ იმით იქნება დაკავებული, რომ სხვადასხვა ხელსაყრელი ვარიანტი ერთმანეთს შეადაროს, მაშინ მშვიდი ძილიც უნდა დაივიწყოს და ფეხბურთიც.

**კორ: განა თქვენც არ გიწვევდათ თავის დროზე „ბაიერნი"?**

**ნ:** სანამ მიონხენგლადბახში ვთამაშობდი, მთელი ათი წლით გააჭიანურეს მიწვევა. როგორც კი მადრიდის „რეალში" დავიწყე თამაში, მაშინვე კვლადაკვალ მომყვა რობერტ შვანი. „ჩვენ გადავწყვიტეთ შენი ყიდვა" — ასე მითხრა. „ეს გამორიცხულია". მაშინ იგი „რეალის" პრეზიდენტ სანტიაგო ბერნაბეუსთან წავიდა. ბერნაბეუმ უბრალოდ უპასუხა: „გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ. ჩვენ ხომ რომელიმე სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი არა ვართ. შევიძინეთ მოთამაშე. თუკი რაიმე არ გამოუვიდა, მთელი ერთი წლით ტრიბუნაზე გავაგზავნით."

**კორ: სებასტიან, ყურადღებით ადევნებ თვალყურს, როგორ კომენტარს აკეთებს გიუნტერ ნეცერი ტელევიზიით?**

**ნ:** იგი, როგორც წესი, ამას ვერ უყურებს, რადგან ამ დროს მინდორზეა და თამაშობს.

**დ:** ჩემი მშობლები თამაშს ხშირად იწერენ ვიდეოზე. ცხადია, შემდეგ ყველაფერს ვნახულობ.

**ნ:** იქ იმაზეა ლაპარაკი, რაც მინდორზე ნამდვილად ხდება.

**დ:** თამაშში სხვადასხვა აზრი იქმნება ხოლმე. ერთადერთი, რასაც ჰერ ნეცერს ვერავინ წაართმევს, ეს მისი უზარმაზარი გამოცდილებაა.

**კორ: თუკი იგი გაკრიტიკებს?**

**დ:** კრიტიკას ვიღებ, თუმცა, როგორღაც არ მახსოვს, რომ მკაცრად გავეკრიტიკებინე.

**კორ: წარმოიდგინეთ, რომ ორივენი ერთ გუნდში თამაშობთ. რა გამოგივიდოდათ?**

**ნ:** ნეცერსა და ოვერატს არაფერი გამოსდიოდათ, იმიტომ, რომ ისინი ერთსა და იმავე პოზიციაზე თამაშობდნენ. ნეცერსა და დაისლერს არ ექნებოდათ პრეტენზია ერთი და იგივე ფუნქციების შესრულებისა, ამიტომ წარმატების უკეთესი შესაძლებლობა მიეცემოდათ.

**კორ: რა საწყენია, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ოცნებაა.**



## ეს ბროშურა ყველას დააინტერესებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ინიციატივით საქართველოში პირველად გამოვიდა მატჩების ინსპექტორთა ინსტრუქციების კრებული, სადაც შეტანილია ყველა სიახლე და ფიფა-უეფას რეკომენდაციები, რომელთა ცოდნა აუცილებელია მატჩების ინსპექტორთათვის. ბროშურა მოიცავს მატჩების ორგანიზაციისა და მსაჯობის ხარისხის შეფასების ყველა საკითხს და წესს. მის შედგენაზე გამოცდილი სპეციალისტები მუშაობდნენ. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა: ა. მილჩენკო, ო. გუნთაძე, ა. დურსუნიში, ა. შალამბერიძე, რ. შენგელია.

ბროშურა ფართო მკითხველისათვის, კლუბებისთვის და ჟურნალისტებისთვისაც საინტერესოა.

## 5,8 მილიონი + 3 ფეხბურთელი



ჟარდელი

**პორტუგალიის „სპორტინგმა" თანხმობა განაცხადა გადაუხადოს თურქეთის „გალათასარაის" 5,8 მილიონი დოლარი ბრაზილიელი თავდამსხმელის მარიო ჟარდელის ტრანსფერის გამო. კონტრაქტის თანახმად, „გალათასარაიში" გადადის „სპორტინგის" 3 ფეხბურთელი. პაველ პორვატი, რობერტ შპეჰარი და მბო მპენზა.**

**შპეჰარი და მპენზა უკვე ჩავიდნენ სტამბოლში, ხოლო ჰორვატს ელიან, რომელიც გამოძახებულია ჩეხეთის ნაკრებში.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფერები ინგლისში

1. ხუან სებასტიან ვერონი, „მანჩესტერ იუნაიტედი" (არგენტინა, გადავიდა რომის „ლაციოდან", 28,1 მილიონი გირვანქა სტერლინგი); 2. რუუდ ვან ნისტელროოი, ჰოლანდია („პსვ ეინდჰოვენიდან", 19 მილ. გირვანქა); 3 ფრენკ ლემპარდი, ლონდონის „ჩელსი" (ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან, 11 მილ. გირვანქა); 4. ფრენსის ჯეფერსი, ლონდონის „არსენალი" (ლივერპულის „ევერტონიდან", 10. მილ. გირვანქა); 5. ლორან რობერი „ნიუკასლ იუნაიტედი" („პარი სენ-ჟერმენიდან", 9,5 მილიონი გირვანქა); 6. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, „არსენალი" („გლაზგო რეინჯერსიდან", 8,5 მილ. გირვანქა); 7-8. ემანუელ პეტი, „ჩელსი" („ბარსელონიდან", 7,5 მილ. გირვანქა); 7-8. ბუდევეინ ზენდენი, „ჩელსი" („ბარსელონიდან", 7,5 მილ. გირვანქა); 9-10. კორადო გრაბი, „ბლეკბერნ როვერსი" (ეს თითქმის უცნობი იტალიელი გადავიდა იტალიის „სერია B-ს" კლუბ „ტერნანიდან", 7 მილ. გირვანქა); 9-10 ედვინ ვან დერ სარი, ლონდონის „ფულჰემი" (ტურინის „იუვენტუსიდან", 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი).



## სკობლარი – მთავარი მწვრთნელი

**ჯერ საფრანგეთის ჩემპიონატი ხეირიანად არც კი დაწყებულა და ბერნარ ტაპიმ, რომელიც ახლა მარსელის „ოლიმპიკის" სპორტულ დირექტორად მუშაობს, უკვე მეორედ გამოიჩინა თავი. თუ ჩემპიონატის სტარტამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მარსელი დატოვა მწვრთნელმა ტომისლავ ივიჩმა, ახლა ტაპიმ მას მიაყოლა არგენტინელი ხოსე ანიგო. მის ნაცვლად მთავარი მწვრთნელი გახდა იუგოსლავიელი იოსიპ სკობლარი, რომელმაც ოდესღაც ევროპის „ოქროს ბუცი" მოიპოვა.**

## „რეალის" გიგანტური სტადიონი

მადრიდის „რეალის" სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ" გადაკეთების შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა და 73 ათასით შემცირდა ადგილების რაოდენობა.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, ახლა დაიწყება ახალი 100-ათასიანი სტადიონის მშენებლობა. იგი 2008 წლისათვის დამთავრდება.

## „არავითარი თავის მოკვლა

**ფონდმა „ფორვარდმა", რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახლო წარსულში კარგად ცნობილი თავდამსხმელი ფეოდორ ჩერენკოვია, გადაწყვიტა სასამართლოში უჩივლოს პრესის ორგანოებს, რომლებმაც გამოაქვეყნეს ცნობა, თითქოს ჩერენკოვს ცოლთან გაყრის შემდეგ თავის მოკვლა სურდა. სინამდვილეში კი ჩერენკოვის რეანიმაციაში ყოფნა ამ ფაქტთან არ ყოფილა დაკავშირებული.**

## პოლიტიკური შეხლა-შემოხლა „ფერენცვაროშის" გამო

კომპანია „ფოტექსმა" ამას წინათ შეიძინა უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი) და თითქმის იგი გაკოტრებისაგან იხსნა — პოპულარულ კლუბს დიდი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ამან, პირიქით, უნგრეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. უკიდურესი მემარჯვენე, სამართლიანობისა და სიმართლის პარტიის ლიდერმა ლასლო ბოგნარმა მოითხოვა, რომ ეს ხელშეკრულება უკანონოდ ჩაითვალოს და გაუქმდეს, რადგან „ფოტექსი ხარბი უცხოელების დაჯგუფებაა". საქმეში ჩაერია უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ურბანი, რომელიც ადრე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო: „ფოტექს არ უნდა ეყიდა „ფერენცვაროში", მას ხომ უკვე აქვს მტკ-ს აქციები".

ახლა ამ საკითხს უნგრეთის პარლამენტი განიხილავს.

## მეკარის სიცოცხლე ვერ იხსნეს



როგორც ვიტყობინებოდით, მოსკოვის ცსკა-ს და მახაჩყალის „ანჟის" შეხვედრაში ტვინის მძიმე ტრავმა მიიღო არმიელთა მეკარე სერგეი პერხუნმა. ექიმების თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, მეკარე გარდაიცვალა. გუშინ მას მოსკოვი გამოეთხოვა მშობლიურ ქალაქ დნეპროპეტროვსკში გადასვენების წინ.

მოსკოვის არმიის კლუბში ხუთი ათასზე მეტი ადამიანი მივიდა პერხუნთან გამოსამშვიდობებლად, მათ შორის იყვნენ ცსკა-ს საფეხბურთო კლუბის უფროსი მიხაილ მამიაშვილი, რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პაველ როჟკოვი, ფეხბურთის კავშირის თავმჯდომარე ვიაჩესლავ კოლოსკოვი, უველასგან მოულოდნელად გამოჩნდა რუსეთელ კომუნისტთა ლიდერიც გენადი ზიუგანოვი. სამძიმრის დეპეშა მიიღეს ბლატერისგან.

დაკრძალვაზე დნეპროპეტროვსკში ჩავა ცსკა-ს გუნდის სრული შემადგენლობა.

# ვიშვანათან ანანდი: დისკუსიას არ ვაპირებ

ამას წინათ გერმანულ ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტს ესაუბრა ვიში ანანდი. აი, რამდენიმე ნაწყვეტი იმ ინტერვიუდან:



● ***როდესაც ანატოლი კარპოვმა, გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა საჭადრაკო საზოგადოებრიობას ღია წერილით მიმართეს, მათ თავიანთ თავს მსოფლიოს მე-12, მე-13 და მე-14 ჩემპიონები უწოდეს. მაშინ რომელი ნომრები გეკუთვნით თქვენ და ალექსანდრ ხალიფმანს?***

— ამაზე ასე გიპასუხებთ, დღეს მე ვარ მსოფლიო ჩემპიონი, ჩემამდე კი ეს წოდება ხალიფმანს ჰქონდა.

● ***ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არ აპირებთ კრამნიკთან ე.წ. გამაერთიანებელი მატჩის თამაშს, რადგან მას მსოფლიო ჩემპიონად არა თვლით?***

— ამ მომენტისათვის რაიმე „გამაერთიანებელ მატჩზე“ ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

● ***თავის დროზე რთული ურთიერთობა გქონდათ გარი კასპაროვთან. ხომ არ შეიცვალა ვითარება მას შემდეგ, რაც კასპაროვი კრამნიკთან დამარცხდა? თქვენ კრამნიკთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გქონდათ.***

— ჩვენს ურთიერთობას შეიძლება პროფესიული ვუწოდოთ.

● ***ხომ არ ეკამათებით ზოგჯერ კრამნიკს, ვინ არის თქვენს შორის „ნამდვილი“ ჩემპიონი?***

— ასეთი კამათი სულ უაზრობა იქნებოდა.

● ***მსოფლიო რეიტინგ-ლისტში თქვენ და კრამნიკი ერთმანეთის სიახლოვეს ხართ წარმოდგენილი. კრამნიკი მეორეა, თქვენ კი მესამე. ხომ არ ისახავთ მიზნად უახლოეს ხანებში მას გადაასწროთ?***

— ჩემი მთავარი მიზანია თამაშის გაუმჯობესება. თუ „რეიტინგ-ლისტში“ 2800 ქულის მაჩვენებელს მივაღწევ, ხომ კარგი. ისე, ჩემი გამოთვლით, რაც პირველი ადგილი დავიკავე მექსიკაში, „რეიტინგი“ მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს (ამის შემდეგ ანანდი უკანასკნელ ადგილზე გავიდა დორტმუნდის 6 დიდოსტატის ტურნირში. ესეც გავითვალისწინოთ. *რედ.*)

● ***რასიტყვით მომავალი შეჯიბრების შესახებ თქვენი და კრამნიკის მონაწილეობით?***

— ჩემი ამოცანაა წარმატებით თამაში და არა პროგნოზები.

● ***კასპაროვის „ეპოქაში“ გაუთავებელი დისკუსია მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო მსოფლიო პირველობა. დღეს თქვენა ხართ მსოფლიო ჩემპიონი, რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— დღეს მე ვარ მსოფლიო ჩემპიონი და დისკუსიას არ ვაპირებ.

**«ფორმულა-1»**




## ბელგიის „გრან-პრი“

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა და დანარჩენ ოთხ ეტაპზე დიდი [illegible] არ უნდა მოხდეს, განსაკუთრებით ლიდერთა შორის, ვინაიდან მსოფლიო სამგზის ჩემპიონმა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა („ფერარი“) წინა — „უნგრეთის გრან-პრიზე“ უკვე გაინაღდა მეოთხე ტიტული და იგი 94 ქულით აშკარად მიუწვდომელია უახლოესი შოტლანდიელი მდევრისათვის, დევიდ კულტჰარდისათვის („უილიამსი“), რომელსაც 51 ქულა აქვს.

მე-14 ეტაპი ბელგიის 6968 მეტრიან „სპა-ფრანკოშამრინგზე“ გაიმართება, რომელიც მრბოლებმა 44-ჯერ უნდა დაძლიონ. სულ 306,592 კმ.

შარშან ბელგიის „გრან-პრი“ ფინელ მიკა ჰაკინენს („მაკლარენა“) ერგო, რომელმაც მანძილის გავლას 1:28.14 (208,468 კმ/საათი) დრო მოანდომა. იგი უძლიერესი იყო პოულ-პოზიშნშიც (კვალიფიკაცია) — 1.59, 646 (226,712 კმ/საათი) დაფარა წრე. უსწრაფესი წრე კი ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ („ფერარი“) განვლო — 1.53,803 (220,423 კმ/საათი). იგი წლევანდელ რბოლაში 46 ქულით მესამეა საერთო ჩათვლაში.

## ძალიან დაზარალდა, მაგრამ მაინც... პირველია!

**22 წლის ყოფილი თბილისელი სერგო მოვსესიანი, შარშან და შარშანწინ დიდი წარმატებით თამაშობდა და მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებსაც კი მიუახლოვდა, წელს უდიდესი შემართებით ვეღარ გამოდის. მან მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში“ 29-ე ადგილიდან მესამოცეზე გადაინაცვლა და მთელი 34 ქულით დაზარალდა.**

**ამის მიუხედავად, იგი 2627 ქულით მაინც ინარჩუნებს ჩეხეთის №1 მოჭადრაკის პოზიციას. მეორეა ზბინეკ ჰრაჩეკი, 74-ე ადგილზეა და 2610 ქულა აქვს.**

## „შამი მოცალეობისა“



**ასე ეწოდება ქართულად იმ კვირანახევრიან გამონათებას პირქუში შემოდგომის დღეებში რომ გამოერევა ხოლმე, რუსები მას „Бабье лето“-ს უწოდებენ. და, რა თქმა უნდა, ახლა სწორედ წელიწადის ეს დრო დაუდგა „ფორმულა-1“-ის დიდოსტატ „შუმის“ (ასე უწოდებენ დიდ გერმანელ მრბოლ მიხაელ შუმახერს), რომელმაც უკვე მოიცილა უდიდესი ტვირთი, რომელსაც ჩემპიონობის მეოთხედ მოპოვება ჰქვია და ახლა სრული უფლება აქვს მოდუნდეს და ტყავის ბურთით შეიქციოს თავი, რასაც ფოტოზე ხედავთ.**

**სურათი გადაღებულია გერმანიის „გრან-პრის“ წინა დღეებში. მ. შუმახერი ვარჯიშობს „ფორმულა-1“-ის ვარსკვლავთა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩის წინ, რომელიც „კარლ-ბენცის“ სტადიონზე ჩატარდა და მასში მ. შუმახერთან ერთად უნდა გამოსულიყვნენ: იარნო ტრული, ჯანკარლო ფიზიკელა, იოს ფერსტაპენი და ოლივე პანისი. მატჩის შემოსავალი ბავშვთა ფონდში უნდა გადარიცხულიყო.**

## ინტერნეტი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს გპირდებათ

ეს სულ ახალი ამბავია ჭადრაკის ისტორიაში. ვისაც წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა სურს, როგორც ცნობილია, ნოემბრის ბოლოდან ნოკაუტ-სისტემით ჩატარდება, მას შეუძლია კიდეც ბედი სცადოს. საამისოდ უნდა შეავსოს პატარა ანკეტა და გადაიხადოს 39 დოლარი, რის შემდეგ ინტერნეტით ჩაერთვება შეჯიბრებაში.

512 გამარჯვებული მოჭადრაკე გამოვა შემდგომ სტადიაში, სადაც 64 საუკეთესო უნდა გამოვლინდეს.

10-17 ოქტომბერს ინტერნეტით ჩატარდება ამ 64 უძლიერესი მოჭადრაკის შეჯიბრება. იგი საბოლოო ანგარიშით შეარჩევს 8 უძლიერესს, რომლებიც პერსონალურად იქნებიან მიწვეული მსოფლიო ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით.

### ვეტერანები არა თმობენ

მალმიოში (შვედეთი) დამთავრდა წრიული საერთაშორისო ტურნირი. 9 შესაძლებლიდან 5,5-5,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ბორის გულკომ (აშშ) და იან ტიმანმა (ჰოლანდია).

**საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი“ აცხადებს**

**1995-1994-1993-1992-1991-1990-1989 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას. მიღება ყოველდღე 10 საათიდან 18 საათამდე.**

**მისამართი: მაიაკოვსკის 4ა (მუშტაიდის ბაღთან).**

**ტელ. 95-37-27, 34-07-91. სკოლის დირექცია.**

## ჯენიფერ კაპრიატი გამდიდრდა



მიმდინარე საჩოგბურთო სეზონში არნახულად გამდიდრდა „დიდი მუზარადის“ სერიის ორი ტურნირის გამარჯვებული ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი. ამ და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირში მან მიიღო 1 მილიონ 822 ათასი დოლარი.

აი ახლაც, თუ წარმატებით ითამაშა აშშ-ს ღია პირველობაზე, სადაც საერთო საპრიზო თანხა 4,5 მილიონი დოლარია...

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**31 აგვისტო, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. ახალგაზრდული ნაკრებები. საქართველო – უნგრეთი (20.55, II ტაიმის რეპორტაჟი თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან). ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (8.05), ევრიკა. „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), *TV6.* კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ბოსნია – რუსეთი (0.55). *ESPN.* ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (14.00, 20.00), სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 05.30), „რაგბის სამყარო“ (21.30), *EUROSPORT.* სუმო. იაპონიიდან (17.00, 18.00, 19.00, 23.30), „ფორმულა-3000“. ავტორბოლა (19.00, 20.30, 21.15), კრივი (22.00, 0.30, 2.00. *НТВ плюс футбол.* მსოფლიო ფეხბურთი (14.15), საფეხბურთო არქივი. მ/ჩ-98. (19.25, 22.45), ურუგვაის საფეხბურთო გეოგრაფია (22.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.15). *НТВ плюс спорт.* კეთილი ნების თამაშები (10.40), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.30, 16.15, 20.00), კეთილი ნების თამაშები (2.00).

**1 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. საქართველო – უნგრეთი (20.55, რეპორტაჟი თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან). ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), *РТР.* „ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი. ბელგიის გრან-პრი (2.00), *RENTB.* ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. გერმანია – ინგლისი (1.30). *ESPN.* ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: „არსენალი“ – „ლესტერი“ (10.00), „ბლეკბერნი“ – „ჩელსი“ (19.00), „მანჩესტერი“ – „ლიდსი“ (21.00), 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ავსტრია – ესპანეთი (01.00). *EUROSPORT.* ცხენოსნობა. ესპანეთიდან (13.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (15.00), ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით (15.30, 20.00, 1.00). *НТВ плюс футбол.* მ/ჩ-98. არქივი. ნახევარფინალი (13,15, 15.00), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (17.30), მ/ჩ. 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: შოტლანდია – ხორვატია (18.55), ბელარუსი – უკრაინა (20.55), ლიტვა – იტალია (23.40), *НТВ плюс спорт.* კეთილი ნების თამაშები (10.40. 2.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.35, 15.50, 20.00).

**2 სექტემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. ვაჟები. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო – აზერბაიჯანი (14.55), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***TV6.*** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. იტალია – რუსეთი (0.50), *ESPN.* ფეხბურთი: 2002 წლის მ/ჩ შესარჩევი მატჩი ავსტრია – ესპანეთი (13.00), ინგლისის ჩემპიონატი „არსენალი“ – „უიმბლდონი“ (18.00), „არსენალი“ – „ლესტერიი“ (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (22.30), *EUROSPORT.* ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით (12.15, 17.00, 18.30), საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი (22.00), სპორტის სიახლენი (1.45, 4.15), *НТВ плюс футбол.* 2002 წლის მ/ჩ. შესარჩევი მატჩები: შოტლანდია – ხორვატია (13.15), ბელარუსი – უკრაინა (15.10), ლიტვა – იტალია (17.15), მ/ჩ-98-ის საფეხბურთო არქივი (19.20, 22.25), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (21.35), მსოფლიო ფეხბურთის მიმოხილვა (2.10), *НТВ плюс спорт.* კეთილი ნების თამაშები (10.45, 2.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.35, 20.00).

## ფეხბურთის აბონემენტების მფლობელთა საყურადღებოდ!

ვინაიდან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები 1 და 5 სექტემბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სთხოვს აბონემენტთა მფლობელებს, რომ აბონემენტები სფფ-ში წარმოადგინონ, სადაც ისინი შესაბამის (სექტორი, იარუსი, რიგი, ადგილი) ბილეთებს უფასოდ მიიღებენ.

***მისამართი: ი. ჭავჭავაძის 49ა. ტელ: 25-01-16.***

## კროსვორდი №68



**თარაზულად:** 8. ფრაიბურგის ქართველი თავდამსხმელი, 9. ლეგენდარული ფინელი სტაიერი, 10. სვლა ჭადრაკში, 11. ბორჯომის საფეხბურთო კლუბი, 12. ნახევარკუნძული ევროპაში, 13. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში, 14. სპორტული ასპარეზობის ერთ-ერთი შედეგი, 17. ქართველი ფალავანი — ოლიმპ. ჩემპიონი (1956 წ.), 20. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 21. ტაშკენტის „პახტაკორის“ ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელი, 22. ქართული საფეხბ. კლუბი, 23. კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ეროვნება.

**შვეულად:** 1. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 2. რაზედაც კალათბურთის კალათი მაგრდება, 3. „დერბი ქაუნთის“ ქართველი ლეგიონერი, 4. ამერიკელი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, 5. სურნელოვანი ზეთი, რომელიც იხმარება საეკლესიო რიტუალებში, 6. ლეგენდარული ეთიოპიელი სტაიერი, 7. ავსტრიული საფეხბ. კლუბი, 12. ნბა-ს ვეტერანი კალათბურთელი, 15. ინგლისის საფეხბ. კლუბი, 16. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, 17. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 18. ფეხბურთში ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის (1966 წ) თილისმა, 19. „ბაიერნის“ ფეხბურთელი.

### კროსვორდი №67 ● პასუხები:

**თარაზულად:** 3. ბანკეტი, 6. „არარატი“, 7. საფინი, 8. შუამარბი, 11. ევერესტი, 12. „მარაო“, 13 თასი, 15. ფილატელია, 17. ფლორი, 18. კავსაძე, 20 ნავი. 21. ინვენტარი, 22. რაი, 23. ტალინი.

**შვეულად:** 1. ტარტუ, 2. ფარი, 3. „ბატე“, 4. ტაფარელი, 5. ანკეტილი, 8. შამათი, 9. ნენე, 10. კალიფორნია, 14. სლოვენია, 16. ამანათი, 17. ფინტი, 19. „ანცი“.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(ზესტაფონი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ეh8 მფb5 2. ეh1 მფa4
3.ეa1 მფb5 4. a4X.
2. ...a4 3. ეb1+ მფa5 4. კb6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე